უკანასკნელ წლებში ტურიზმის სწრაფმა ზრდამ ბათუმის სამშენებლო ბაზრის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი; მას GVA-ს მაჩვენებელში 120 მლნ. ევროს ოდენობის წვლილი შეაქვს და 9,000-ზე მეტ ადამიანს ასაქმებს (საქსტატი, რეგიონული სტატისტიკა, 2019).

ამჟამად ბათუმში მაღალი დონის ბრენდის სასტუმროების რამდენიმე დაგეგმილი და მიმდინარე სამშენებლო პროექტი არსებობს, მათ შორისაა ბრენდები: Babylon Tower, Pullman Hotels & Resort, Le Meridien და Swissotel. ასევე სწრაფად აშენდა საცხოვრებელი ბინები, რომელთა საკმაოდ დიდი წილი უცხოელ ინვესტორებზე გაიყიდა. საცხოვრებელი მშენებლობის ბუმთან ერთად ვითარდება ინფრასტრუქტურაც; მათ შორის გზები, წყლის ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ახალი, 20,000 ტევადობის ფეხბურთის სტადიონი. ამ პროექტების უმრავლესობამ ფინანსური მხარდაჭერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან და სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციებისგან (IFI) მიიღო. მშენებლობების ეს სწრაფი განვითარება მთავარი სამოქმედო გეგმის შესაბამისად არ ჩატარებულა და მხედველობაში არ მიუღიათ განახლებული ჩარჩო დოკუმენტი მშენებლობების კონტროლისთვის, რამაც ზოგიერთ ზონაში ფიზიკური (მაგ. ელექტროენერჯის განაწილება და სოციალური ინფრასტრუქტურა წნეხის ქვეშ მოაქცია.

ლოგისტიკა და ინდუსტრია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტის საკვანძო ცენტრად მიიჩნევა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი საერთაშორისო ფრენებს 22 მიმართულებით ახორციელებს და საათში 600, ხოლო წელიწადში 600,000 მგზავრი გადაჰყავს. ბათუმის პორტი კიდევ ერთი ლოგისტიკური ცენტრია და მას 11 ნავსადგომი და ხუთი ტერმინალი აქვს; მათ შორის ნავთობის, კონტეინერის, სარკინიგზო ბორანი, მშრალი ტვირთის და საზღვაო სამგზავრო ტერმინალები. ბათუმს ასევე აქვს თანამედროვე სარკინიგზო სადგური, რომელიც ყოველწლიურად 500,000 – ზე მეტ მგზავრს ემსახურება (Economics in Figures, 2018). ეს ლოგისტიკური ცენტრები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკისა და დასაქმების წყაროს კუთხით.

ასევე ბათუმში განლაგებულია რამდენიმე დიდი ინდუსტრიული და სამრეწველო საწარმო. მთავარი ინდუსტრიული საქმიანობებია გემების შეკეთება და სერვისი ბათუმის პორტსა და ნავთობტერმინალში, რომელსაც წელიწადში 15 მლნ. ტონის დატვირთვის შესაძლებლობა აქვს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში თითქმის 11,000 მცირე და საშუალო საწარმო ფუნქციონირებს.

2.4 მართვის კონტექსტი

ქალაქ ბათუმის პასუხისმგებლობები

ბათუმი 2006 წლიდან თვითმმართველი ქალაქია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მართვის ავტონომია გააჩნია და რამდენიმე მუნიციპალურ სერვისს მოიცავს:

- ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი (წყლის, ტყის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების ჩათვლით)
- სივრცითი და ტერიტორიული დაგეგმვის უზრუნველყოფა
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება (პარკები, სკვერები, გზები, ქუჩის განათება და ა.შ.)
- მუნიციპალური ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვა

**Error! Unknown document
property name.**

- გარემოს დაცვა და წყალმომარაგების უზრუნველყოფა
- სკოლამდელი და არასასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა და უზრუნველყოფა
- ადგილობრივი ტრანსპორტის ორგანიზება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ბავშვთა და მოხუცებულთა ადგილობრივი იფრასტრუქტურის შექმნა
- ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების უზრუნველყოფა
- სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა
- ახალგაზრდების და გენდერული თანასწორობის გარშემო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

მიუხედავად ამისა, GCAP-ის ფარგლებში განხილული მრავალი სექტორი (მაგ. ენერჯეტიკა) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ეროვნულ სამინისტროებს შორის მნიშვნელოვან თანამშრომლობას გულისხმობს. ბათუმის GCAP-სთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი რეგიონული და ეროვნული დაწესებულებები მოიცავს:
























- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა:
 - აჭარის AR-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ასევე, სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი, ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი, საბიუჯეტო დეპარტამენტი, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, საავტომობილო გზების განვითარების პოლიტიკისა და მელიორაციის მართვის სისტემების დეპარტამენტები)
 - აჭარის AR-ს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მათ შორის აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო)
 - აჭარის AR-ს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საქართველოს მთავრობა
 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ასევე, ენერჯეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი)
 - გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ასევე, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი)
 - ფინანსთა სამინისტრო
 - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდი)
- ბათუმის იურისდიქციის დონის შეჯამებისთვის სხვადასხვა პოლიტიკისა და ინვესტიციების სექტორებისთვის იხილეთ ცხრილი #2 2.7 ნაწილში.

არსებული გეგმები და სტრატეგიები

GCAP მიზნად ისახავს ბათუმის არსებული გეგმებისა და სტრატეგიების შევსებას, რომლებიც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს ეხმიანება. ცხრილი #1 ძირითად გეგმებსა და სტრატეგიებს აჯამებს; უფრო სრულ ჩამონათვალს დანართში D.

Error! Unknown document property name.

ცხრილი 1 GCAP-ისთვის აქტუალური მთავარი გეგმები და სტრატეგიები

გეგმა ან სტრატეგია	ვადები	აღწერა	დაკავშირებული სექტორები
აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია	გამოქვეყნდა 2013 წელს	განხილულია აჭარის რეგიონის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სუსტი წერტილები. მოიცავს ადაპტაციისა და GHG ემისიების შერბილების პროექტის წინადადებებს.	   
ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (NBSAP)	2014-2020	მოიცავს გასატარებელ ზომებს შიდა წყლის ეკოსისტემების, შავი ზღვის, ტყის ეკოსისტემებისა და დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.	  
ბათუმი სუფთა ჰაერისთვის	2016-2021	ეროვნული ნებაყოფლობითი ვალდებულებები შემუშავდა ევროპის მე-8 გარემოსდაცვითი მინისტრების კონფერენციის ფარგლებში, მოიცავს ტრანსპორტთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.	 
გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEEAP)	2017-2021	ადგენს ეროვნულ პრიორიტეტებს და მიზნად ისახავს გარემოს დაცვას. ბათუმის GCAP-ისთვის მიზნებია დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება, დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.	   
მდგრადი ენერჯეტიკის განვითარების გეგმა	2014-2020	ბათუმის GHG-ს ემისიების უახლესი ინვენტარიზაცია. მოიცავს 2020 წლისთვის ემისიების 22%-ით საქმიანობის ტრადიციული გზით განვითარების სცენართან (BAU) შედარებით.	 
განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა	გამოქვეყნდა 2018 წელს	მიზნად ისახავს ენერჯის მიწოდების რესურსების დივერსიფიკაციას, განახლებადი ენერჯის რესურსების ექსპლუატაციის ოპტიმიზაციასა და ერთიანი ენერგოეფექტური მიდგომის შექმნას.	  
მუნიციპალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაცია ბათუმში	2007-2022	მიმდინარე წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაციისა და გაფართოების მიმდინარე პროგრამა ბათუმში და მის შემოგარენში.	
ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა	2018-2021	სივრცით / ქალაქის დაგეგმარებასა და მიწის ექსპლუატაციის რეგულირებას ბათუმის მდგრადი განვითარების მთავარ პრიორიტეტად განიხილავს.	 
მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის	2015-2019	UNDP-ის მხარდაჭერით, მოიცავს ანალიზისა და მდგრადი სატრანსპორტო გეგმების შემუშავებას, მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის ოპტიმიზაციის სცენარებს; განახლებულ გეგმებს მუნიციპალური პარკირების შესახებ; მდგრადი საქალაქო ტრანსპორტის დერეფნები; ველოსიპედის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისა და ხარისხის გაუმჯობესება და ელექტრო ტაქსის სისტემის პოტენციური განვითარება.	 

Error! Unknown document property name.

**ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.**


**Error! Unknown document
property name.**

Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.

Error! Unknown document property name.

შემდეგ ნაწილებში (2.5 და 2.6) შეჯამებულია ძირითადი დასკვნები გარემოსდაცვითი ინდიკატორების მიმოხილვიდან და დამატებითი ტექნიკური ანალიზიდან. წინასწარი დასკვნები დამტკიცდა მრგვალი მაგიდის ტიპის სესიებისას, რომლებსაც ბათუმში მოქმედი საჯარო უწყებების, ბიზნესების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ანალიზში გამოყენებულია ზეწოლა-მდგომარეობა-რეაგირების (PSR) ჩარჩო (სქემა # 3), რომელსაც EBRD - მწვანე ქალაქების სხვადასხვა ქალაქების დასახმარებლად იყენებს, რათა გაანალიზონ გამოწვევები და დაადგინონ მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ჩარჩო მოიცავს:

- **მდგომარეობის ინდიკატორები** - გამოიყენება გარემოს ამჟამინდელი მდგომარეობის (მაგალითად ჰაერის ხარისხი), რესურსების ხელმისაწვდომობის (მაგ. წყლის ნაკლებობა) და რისკის (მაგ. წყალდიდობის მიმართ მოწყვლადობა) აღსაწერად. იხილეთ ნაწილი 2.5.
- **ზეწოლის ინდიკატორები** - ემყარება სექტორებს და გამოიყენება იმის გასაგებად, თუ რა ფაქტორებმა შეიძლება იქონიოს გავლენა გარემოს ფასეულობებზე (მაგ., ძველმა, არაეფექტიანმა ავტომანქანებმა შესაძლოა ზიანი მიაყენონ ჰაერის ხარისხს). იხილეთ ნაწილი 2.6.
- **რეაგირების ინდიკატორები** - გვცხმარება გვესმოდეს, თუ რა ქმედებები ხორციელდება, ან შეიძლება განხორციელდეს, რათა მოხდეს ზეწოლების შემსუბუქება და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება (მაგ., საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების ხელშეწყობა). მიმდინარე პასუხები მიმოხილულია თავებში 2.5 და 2.6 სათაურით: „რა კეთდება ამჟამად?“



სქემა 3 PSR ჩარჩო

თითოეული ინდიკატორის კატეგორიისთვის მოცემულია დიაგრამა, რომელიც ასახავს, თუ GCAP-ის თითოეულ სექტორის (მაგ., მყარი ნარჩენების მართვა; ტრანსპორტი) რომელ საქმიანობას რა გავლენა აქვს სხვადასხვა გარემოსდაცვით ფასეულობებზე (მაგ., ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები; ჰაერის ხარისხი).

—————▶	დარგობრივ საქმიანობას ძლიერი გავლენა აქვს მდგომარეობის ინდიკატორზე
- - - - -▶	დარგობრივ საქმიანობას ზომიერი გავლენა აქვს მდგომარეობის ინდიკატორზე
.....▶	დარგობრივ საქმიანობას მცირე გავლენა აქვს მდგომარეობის ინდიკატორზე

Error! Unknown document property name.











**ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.**

**Error! Unknown document
property name.**

Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.

Error! Unknown document property name.

ლეგენდა


მდგომარეობის ინდიკატორი (ზომავს გარემოსდაცვით ხარისხს, რესურსების ხელმისაწვდომობას და რისკებს)		GCAP -ის სექტორები	
	ჰაერის ხარისხი		შენობები
	ბიომრავალფეროვნება		ენერჯის მიწოდება
	კლიმატის რისკი და ადაპტაცია		ინდუსტრია
	სათბური აირები(GHG)		მიწათსარგებლობა
	მწვანე სივრცეები		მყარი ნარჩენები
	ნიადაგის ხარისხი		ტრანსპორტი
	წყლის ხარისხი/ხელმისაწვდომობა		წყლის მართვა

2.5 არსებული გარემოსდაცვითი ღირებულებები

ამ ნაწილში აღწერილია პრიორიტეტული გარემოსდაცვითი ღირებულებების წინაშე არსებული გამოწვევები, (მაგ., მდგომარეობის ინდიკატორის კატეგორიები, როგორცაა ჰაერის ხარისხი), აგრეთვე ის, რაც უკვე კეთდება მათი მართვისთვის. ქ. ბათუმმა იდენტიფიცირება მოახდინა საკითხების, რომელიც დაკავშირებულია ჰაერის ხარისხთან, ბიომრავალფეროვნებასთან, სათბური გაზების ემისიებთან, მწვანე სივრცეებთან, კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობასთან და ნიადაგის ხარისხთან რათა გამოიყოს პრიორიტეტული გარემოსდაცვითი გამოწვევები. ინდიკატორების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი A.

ჰაერის ხარისხი

ჰაერის ხარისხი ბათუმის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ავტომანქანების გამონაბოლქვი დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია, თუმცა, მონიტორინგის მონაცემები შემოიფარგლება მონიტორინგის ორი დატვირთული ადგილით ქალაქში - ქათამაძისა და აბუსერიძის ქუჩებით - რაც ზოგადად ჰაერის ხარისხს მაინცდამაინც კარგად ვერ ახასიათებს. ამ სადგურების მონაცემები SO₂ და NO_x ნაწილაკების მაღალ დონეზე მიუთითებს.



რა კეთდება ამჟამად?




- არსებობს საწვავის ხარისხის ეროვნული სტანდარტები ბენზინისა და დიზელისთვის, რომელმაც ნელ-ნელა ევრო 5-ს მიაღწია
- ახლახან საქართველომ შემოიღო სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება
- შემცირებული აქციზის გადასახადი ჰიბრიდული და ელექტრო მანქანებისთვის
- გარკვეულ დამაბინძურებლებზე მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების დაწესება (MACs)
- გარემოს ეროვნული სააგენტო აკონტროლებს ჰაერის ხარისხს და არეგულირებს ემისიებს
- ბათუმმა EBRD-ს დახმარებით შეიძინა 10 ელექტრო-ავტობუსი და დასატენი ინფრასტრუქტურა

Error! Unknown document property name.

- ბათუმმა ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაო UNDP-ს მხარდაჭერით, მდგრადი ტრანსპორტის მობილობის გეგმისა და მდგრადი ტრანსპორტის შესახებ ცნობიერების ამაღლების გეგმის შესამუშავებლად.

მთავარი გამოწვევები

ჰაერის ხარისხი ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მყარი ნაწილაკების, SO₂ და NO_x კონცენტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის ხარისხის მონაცემების ხელმისაწვდომობა ცვალებადი იყო, დაინტერესებული მხარეების მხრიდან ბათუმში ჰაერის ხარისხის შემდეგი გამოწვევები გამოვლინდა და პრიორიტეტების მიხედვით განლაგდა:

ს/კ	გამოწვევის აღწერა	შესაბამისი GCAP სექტორი/სექტორები
AQc1	დამკვლევადი ავტომანქანები: საგზაო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის შემცირება უმთავრესი გამოწვევაა, რადგან ავტომობილები 18 წელზე მეტი ასაკისაა (ზრდის ტენდენციით)	
AQc2	სამშენებლო ობიექტის მტვერი: მიუხედავად მონაცემების ნაკლებობისა, დაუზუსტებელი მტკიცებულებები იმაზე მიუთითებს, რომ მშენებლობის ტემპი ბათუმში ნაწილაკებით დაბინძურებას უწყობს ხელს.	
AQc3	საწვავში გოგირდის მაღალი შემცველობა: მიუხედავად გეგმისა, რომ საწვავის სტანდარტები თანდათანობით ევროკავშირის საწვავის სტანდარტებს გაუთანაბრდეს, SO ₂ -ის მონიტორინგის მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთ საწვავს, რომელიც საგზაო სატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოიყენება, გოგირდის ამჟამინდელ სტანდარტებზე მაღალი შემცველობა აქვს. საზღვაო საწვავში მნიშვნელოვნად მეტი გოგირდია, ვიდრე სახმელეთო ტრანსპორტის საწვავში.	
AQc4	გადაზიდვებით გამოწვეული დაბინძურება: აქტივობები პორტში, განსაკუთრებით კი გემებისა და სატვირთო მანქანების გამონაბოლქვის ემისიები ზრდის დაბინძურებას პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე (დასახლებული პუნქტების ჩათვლით)	

ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები


ბათუმი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან „ცხელ წერტილებთან“ ახლოს მდებარეობს, მათ შორისაა მსოფლიოში ცნობილი ფრინველების მიგრაციის დერეფანი, რომელიც ცნობილია სახელით "ბათუმის ძაბრი". აქ დაფიქსირებულია მტაცებელ ფრინველთა 36 სახეობა, ამასთან პიკის დღეებში სექტემბრის მიგრაციის დროს გადამფრენ ფრინველთა რიცხვი 100 000 – ზე მეტს აღწევს. ბათუმის მთელი სანაპირო და ქალაქის შემოგარენი (გარდა ქალაქის ცენტრისა) ფრინველთა მნიშვნელოვან არეალს (IBA) წარმოადგენს. სავარაუდოდ, რომ ბათუმის IBA საბოლოოდ გახდება სპეციალური დაცული ტერიტორია (SPA), როდესაც ფრინველების დირექტივა (დირექტივა 2009/147/EC) როგორც პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილი, განხორციელდება. ამიტომ, მისი ყურადღებით მართვა პრიორიტეტულია.

ბათუმში ბიომრავალფეროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები ჭაობები, ქვიშაქვები და მდელოები, სადაც მდინარე ჭოროხი შავ ზღვას უერთდება (ე.წ. ბათუმის ჭოროხის დელტა). ურბანული პარკები, როგორცაა ბათუმის ბულვარი, 6 მაისის პარკი და ბოტანიკური ბაღი ბიომრავალფეროვნებისთვის გარკვეული დამატებითი ღირებულების მატარებელია, თუმცა, მათი ბუნებრივი გარემო ფრაგმენტულია და რეკრეაციული კუთხით უფრო ფასეულია. ქალაქ ბათუმსა და აჭარის AR-ს სურთ გაზარდონ ეკოლოგიური ტურიზმი, განსაკუთრებით კი ახლომდებარე მაღალმთიან ადგილებში.

რა კეთდება ამჟამად?

Error! Unknown document property name.

- ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (NBSAP) 2014-2020 წლებს მოიცავს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის სანაპიროს კონსერვაციას
- პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა შემდეგ ვალდებულებებს ითვალისწინებს:
 - საკვანძო ჰაბიტატებისა და დაცული სახეობების კონსერვაციის სტატუსის მონიტორინგის სისტემის შემუშავება
 - ბიომრავალფეროვნების შესახებ ახალი კანონის სისრულეში მოყვანა
 - პოტენციური „ემერალდის ადგილების“ იდენტიფიცირება
 - ფრინველთა სახეობების სპეციალური დაცული ტერიტორიების იდენტიფიცირება და მონიშვნა
- არასამთავრობო ორგანიზაციები „SABUKO“ and „Batumi Raptor Count“ ფრინველებზე დაკვირვების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მის პოპულარიზაციას ცდილობენ.



პრიორიტეტული გამოწვევები

ბიომრავალფეროვნება ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მწვანე სივრცეების ფართობის ერთ სულ მოსახლეზე დაბალ მაჩვენებელზე და გადაშენების პირას მყოფი ფრინველების სახეობები, რომლებისთვისაც მდინარე ჭოროხის დელტა არის მნიშვნელოვანი ჰაბიტატი.

დაინტერესებულმა მხარეებმა ბათუმსა და მის მიმდებარე რაიონებში ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შემდეგი პრიორიტეტული გამოწვევები გამოჰყვეს და პრიორიტეტების მიხედვით დააღაგეს:

ს/კ	გამოწვევის აღწერა	შესაბამისი GCAP სექტორი/სექტორები
Bc1	ურბანული განვითარება: ქალაქში არსებული ღია მწვანე სივრცეები (მაგალითად, პარკები) და გამოუყენებელი მიწები უზრუნველყოფენ საარსებო ადგილს ფლორისა და ფაუნის სახეობებისთვის. ბევრ ასეთ სივრცეზე მნიშვნელოვანი ზეწოლა განხორციელდა ურბანული ექსპანსიიდან გამომდინარე.	
Bc2	ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერება: რეგიონის ბიომრავალფეროვნების ღირებულებების შესახებ ინფორმირებულობა მოქალაქეებში შედარებით დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმს მცირე კონტროლი აქვს ბიომრავალფეროვნების პოლიტიკაზე, მას შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს ცნობიერების ამაღლებისა და მდგრადი ეკო-ტურიზმის პოპულარიზაციის კუთხით	NA
Bc3	გადამფრენ ფრინველთა სახეობებზე უკანონო ნადირობა: საჭიროა სააღსრულებო ქმედებების განხორციელება, რათა შემცირდეს რისკები ფრინველთა სხვადასხვა სახეობისთვის.	NA
Bc4	მდინარე ჭოროხის დელტას დაცვა: სავარაუდოა, რომ ბათუმი და მისი შემოგარენი, ევროკავშირის ფრინველების დირექტივის შესაბამისად სპეციალურ დაცულ ტერიტორიად იქნება მიჩნეული, რაც ამ ტერიტორიის დაცვას მნიშვნელოვან პრიორიტეტად აქცევს. ამჟამად შეზღუდული მონაცემები გროვდება სახეობების შესახებ ამ ტერიტორიებისა და მთლიანად აჭარის AR-ის. მასშტაბით	

Error! Unknown document property name.

**ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.**

**Error! Unknown document
property name.**

Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.

Error! Unknown document property name.

სათბურის გაზები

2011 წელს ბათუმის ნახშირორჯანგის ემისიის ბოლო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქალაქი ყოველწლიურად ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1,71 ტონა CO₂e-ს აფრქვევს. საქართველოს საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით (3,14 ტონა CO₂e) ეს დაბალი მაჩვენებელია, რაც ნაწილობრივ ბათუმში წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ქარხნებისა და ინდუსტრიული საქმიანობის ნაკლებობითაა განპირობებული. ამასთან, სავარაუდოა, რომ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ბათუმის ემისიები მშენებლობების დაჩქარების შესაბამისად გაიზარდა. ბათუმის სათბურის გაზების ემისიებში ტრანსპორტს, მშენებლობას და ნარჩენების სექტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

რა კეთდება ამჟამად?

- ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ახალი კანონი „შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ“ განხილვის პროცესშია
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კლიმატის ცვლილების სტრატეგია (2013) სათბურის გაზების შემცირების პოლიტიკას და პროექტის შესაძლო წინადადებებს მოიცავს, მათ შორისაა სათბურის გაზების შემცირება არსებულ და შემოთავაზებულ ნავთობპროდუქტებზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განხორციელების მტკიცებულებები მწირია.
- მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა (2014 წ.) BAU-სთან შედარებით ქალაქის მასშტაბით სათბურის გაზების ემისიების 2020 წლამდე 22%-ით შემცირებას ისახავს მიზნად. ქალაქი ვალდებულია იღებს განახლებული ინვენტარიზაცია ჩაატაროს ახალი მდგრადი ენერჯისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომელიც მერების გლობალური შეთანხმების ნაწილია.

პრიორიტეტული გამოწვევები

სათბურის გაზების ემისიები ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა, ძირითადად ტრანსპორტის სექტორიდან გამოყოფილი ნახშირორჯანგის ემისიების გამო. დაინტერესებულმა მხარეებმა ბათუმის სათბურის გაზების ემისიების კუთხით პრიორიტეტული გამოწვევები გამოჰყვეს და ისინი პრიორიტეტების მიხედვით განალაგეს:

ს/კ	გამოწვევის აღწერა	GCAP-ისთვის აქტუალური სექტორები
GHGc1	მომველებული ავტოპარკი და მანქანებზე დამოკიდებული სატრანსპორტო სექტორი: ავტომობილების სიძველე ხელს უწყობს ემისიების ზრდას, რაც ტრანსპორტირების ალტერნატიული ვარიანტის არარსებობითაა განპირობებული.	
GHGc2	შენობების ენერგოეფექტიანობის სტანდარტების არარსებობა და მომველებული შენობები: შენობებიდან ემისიები გამოწვეულია ენერჯის მოხმარების მაღალი ტემპებით, ენერგოეფექტურობის შესახებ დაბალი ცნობიერებითა და შესაბამისი სტანდარტების ნაკლებობით.	
GHGc3	ნავთობპროდუქტებზე ემისიების კონტროლის არარსებობა: ამჟამინდელ ნავთობპროდუქტებს არ აქვს გაზების ჩაჭერის მართვის სისტემა.	
GHGc4	არ არსებობს GHG-ს ემისიების შემცირების სტრუქტურული მიდგომა: არ არსებობს მონიტორინგისა და პროგრესის შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა მომავალში ეფექტური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.	
GHGc5	ემისიების მომველებული მონაცემები: მიუხედავად მერების შეთანხმების ხელმოწერისა და მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმის მოზადებისა, ბათუმის განვითარების ტემპებიდან გამომდინარე, მონაცემები უკვე მომველებულია.	

Error! Unknown document property name.

**ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.**


**Error! Unknown document
property name.**

Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.

Error! Unknown document property name.

მწვანე და ღია საზოგადოებრივი სივრცეები

ბათუმის შესახებ თანმიმდევრული მონაცემების ნაკლებობა საგრძნობლად ართულებს მწვანე და ღია საზოგადოებრივი სივრცეების რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ანალიზს. თუ ბათუმს ზემოდან დავხედავთ, მისი დიდი ნაწილი ქუჩების გამწვანების გამო საკმაოდ მწვანედ გამოჩნდება; თუმცა, ბათუმის ბულვარის, 6 მაისის პარკის, კიდევ რამდენიმე მცირე ზომის პარკისა და საზოგადოებრივი მოედნების გარდა, ხარისხიანი საზოგადოებრივი ღია მწვანე სივრცეების რაოდენობა საკმაოდ მცირეა.



ახლომდებარე მწვანე სივრცეები ისეთ დიდ პარკებს მოიცავს, როგორებიცაა ჩაქვის ჩრდილოეთით მდებარე ბოტანიკური ბაღი, თხილნარის ჩანჩქერები (15 კილომეტრით დაშორებული) და მტირალას ეროვნული პარკი (დაშორებულია 30 კმ-ით). ბათუმის SEAP- ის მიხედვით, მწვანე ადგილები დანაწევრებულია, რაც ჰაბიტატის ღირებულებას ამცირებს და ცხოველების მოძრაობას აფერხებს. ბათუმის ბულვარის გარდა, მაცხოვრებლებისა და დამთვალიერებლებისთვის მხოლოდ რამდენიმე არჩევანი არსებობს რათა მათ ახლომდებარე მწვანე სივრცეებით ისიამოვნონ და შეუფერხებლად გადაადგილდნენ.

რა კეთდება ამჟამად?


- ბათუმის მიწათსარგებლობის გეგმა (2009) მწვანე სივრცეების შესახებ თავს შეიცავს. გეგმაში ასევე აღნიშნულია, რომ ბათუმში ქალაქ-ბაღად უნდა იქცეს და უნდა შეიქმნას ერთიანი სისტემა მწვანე სივრცეების განვითარებისა და მართვისთვის.
- ბათუმის მერიის ურბანული განვითარებისა და პოლიტიკის სამსახური ბათუმის ტექნიკური სარგებლობის ახალი ტექნიკური გეგმის შესაქმნელად ემზადება.
- ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ 50-ე დადგენილება (2012 წლის 14 სექტემბერი) განსაზღვრავს საბაზისო კოეფიციენტებს მწვანე სივრცეებისთვის, რომლებიც ახალი სამშენებლო პროექტების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული. თუმცა, დადგენილების აღსრულება არათანმიმდევრულია.

პრიორიტეტული გამოწვევები

მწვანე და საჯარო ღია სივრცეები ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა, რადგან მწვანე სივრცის ფართობის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ბევრად დაბალია ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. დაინტერესებულმა მხარეებმა გამოყვეს პრიორიტეტული გამოწვევები, რომლებიც მწვანე და საჯარო ღია სივრცეებზე ახდენს გავლენას და ისინი პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეს:

ს/კ	გამოწვევის აღწერა	GCAP-ისთვის აქტუალური სექტორები
GSc1	მიწით სარგებლობის პრიორიტეტის კონკურენცია: ბათუმის სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, მწვანე სივრცეებს კონკურენციას უწევს საცხოვრებელი და კომერციული ნაგებობებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობები.	
GSc2	მწვანე სივრცეებთან კავშირი: ბათუმის მწვანე სივრცეების მშენებლობა არ დაგეგმილა ეკოსისტემების, ეკოსისტემური სერვისების, მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ურთიერთკავშირის საფუძველზე.	
GSc3	მწვანე სივრცეების ხელმისაწვდომობა: მწვანე სივრცეების უდიდესი ნაწილი ტურისტებზე გათვლილი და ზოგიერთ შემთხვევაში ტურისტების რაოდენობა ადგილობრივი მოზინადრეების რიცხვს აჭარბებს. გარდა ამისა, მწვანე სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი სანაპიროს გასწვრივ ან ბათუმის ქალაქის ცენტრთან ახლოს	

Error! Unknown document property name.

	მდებარეობს, ეს კი ხელმისაწვდომობის ბარიერს ქმნის მათთვის, ვინც ამ ზონებიდან მოშორებით ცხოვრობს.	
GSc4	მწვანე სივრცეების ტიპოლოგია: ბათუმის მწვანე სივრცის უმეტესობა მრავალფუნქციურია ადამიანური მოხმარების უპირატესი პრიორიტეტულობით. თუმცა, არსებობს დისბალანსი მწვანე სივრცეების რეკრეაციულ და ეკოლოგიურ მოთხოვნებს შორის.	

კლიმატი და ბუნებრივი კატასტროფების მიმართ მედეგობა

ბათუმში უფრო და უფრო იგრძნობა კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი საფრთხეების გავლენა, მათ შორის ზღვის დონის ამაღლება, წყალდიდობის და მეწყერის შემთხვევების ზრდა და ზღვის სანაპიროების ეროზია. კერძოდ, საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევაში მოცემული ანალიზით ირკვევა, რომ ბათუმს ქვეყანაში ყველაზე მაღალი მგრძობელობა ახასიათებს წყალდიდობის, ზღვის სანაპიროების ეროზიისა და მდინარის სანაპიროების ეროზიის მიმართ.

რა კეთდება ამჟამად?

- გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ეროვნული დეპარტამენტი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას განსაზღვრავს და ახორციელებს
- საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევაში შეფასებულია კლიმატის ცვლილების რისკების მიმართ საქართველოს თითოეული მუნიციპალიტეტის მოწყვლადობის დონე
- UNDP-ს მიერ მხარდაჭერილი მიმდინარე პროექტი ზრდის ისეთი სისტემების მასშტაბებს, რომლებიც კლიმატის შესახებ მონაცემებზე დაყრდნობით მრავალმხრივი საფრთხის შესახებ ინფორმაციას წინასწარ გვთავაზობს
- განხორციელდა ტექნოლოგიური საჭიროების შეფასებები, რომლებიც ადაპტაციის სხვადასხვა არეს გამოყოფს. მათ შორისაა ადლიას სანაპიროს გამაგრება და ბათუმის წყალქვეშა კანიონში ნალექის შეკავება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კლიმატის ცვლილების სტრატეგია (2013) რეგიონის კლიმატის ცვლილების მიმართ დაუცველობაზე მიუთითებს და მრავალ საპროექტო წინადადებას მოიცავს. თუმცა, განხორციელების ეტაპზე არცერთი მათგანი არ გადასულა.


ბათუმის მუნიციპალიტეტის კლიმატური პროგნოზები		
ცვლადი	ცვლილება 2021-2050 წლებისთვის	ცვლილება 2071-2100 წლებისთვის
ყოველწლიური საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C)	1.41	3.18-დან 3.32-მდე
8°C-ზე დაბალი ტემპერატურის დღეების ყოველწლიური რაოდენობის ცვლილება	-0.03	-0.04
25°C-ზე მაღალი ტემპერატურის დღეების ყოველწლიური რაოდენობის ცვლილება	6.53	24.77
ნალექის წლიური საშუალო მაჩვენებლის ცვლილება (მმ)	-2.23	-7.2 -დან - 5.4-მდე
ძლიერი წვიმანი დღეების წლიური საშუალო მაჩვენებლის ცვლილება (> 20მმ)	-0.88	-7.3 -დან - 4.7-მდე

პრიორიტეტული გამოწვევები

კლიმატის ცვლილების და ბუნებრივი კატასტროფების მიმართ მედეგობა ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის მედეგობის გეგმების ნაკლებობას და კლიმატური პროგნოზების და სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზეგავლენების შეფასებების ნაკლებობას.

Error! Unknown document property name.

დაინტერესებულმა მხარეებმა ის პრიორიტეტული გამოწვევები განსაზღვრეს, რომლებიც ბათუმში კლიმატსა და ბუნებრივი კატასტროფების მიმართ მდგრადობაზე ახდენს გავლენას და ისინი პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეს:

ს/კ	გამოწვევის აღწერა	GCAP-ისთვის აქტუალური სექტორი/სექტორები
Cc1	ბათუმის ადაპტაციის სტრატეგიის/გეგმის არ არსებობა: ბათუმს არ გააჩნია გეგმა, რომელიც ურბანული სისტემებისა და მომსახურების სფეროების კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობას უნდა უზრუნველყოფდეს.	
Cc2	მწირი ინფორმაცია ენერჯეტიკის ქსელის მდგრადობის დაგეგმვის შესახებ: ინფორმაციის ნაკლებობა აფერხებს ენერჯეტიკის სექტორის შემდგომი მდგრადობის ადეკვატურ დაგეგმვას, როგორც ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ასევე უმეტესად ამორტიზებული გადაწყვეტილებისა და განაწილების ინფრასტრუქტურის შენარჩუნების მხრივ მოთხოვნის პიკის შემთხვევებში.	
Cc3	კლიმატის ცვლილება სამშენებლო სტანდარტებში: სამშენებლო სტანდარტებში გათვალისწინებული არ არის კლიმატის ცვლილების ის მოსალოდნელი შედეგები, რომელთაც შესაძლოა მასალების უფრო სწრაფი გამოფიტვა და ამინდის ექსტრემალური მოვლენები გამოიწვიოს.	
Wc3	წყალდიდობა და სანაპიროს ეროზია: ბათუმი საკმაოდ მგრძობიარეა წყალდიდობებისა და სანაპიროს ეროზიების მიმართ, რასაც კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო ამწვავებს. იხ. გამოწვევა Wc3	
Cc4	მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოწყვლადობა ექსტრემალური სიციხის მიმართ: ურბანული თბური კუნძულის ეფექტს ბათუმში საკმაოდ მძიმე პირობების შექმნა შეუძლია. ცხელი ამინდი ყველაზე მეტად მოსახლეობის იმ მოწყვლად ნაწილს აზარალებს, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.	

ნიადაგის ხარისხი


ნარჩენების მართვის არსებულმა მეთოდებმა, ტყეების გაჩეხვამ და წარსულში ინდუსტრიულმა საქმიანობამ ბათუმის ნიადაგი საგრძნობლად დააზიანა. ამასთან, კლიმატის ცვლილების პირობებში გაზრდილი ნალექიდან გამომდინარე შესაძლოა ეროზიის საშუალო მაჩვენებელი მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს.

რა კეთდება ამჟამად?

- გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEAP) 2017-2021 ნიადაგის დასაცავად ეროვნულ პრიორიტეტებსა და აქტივობებს განსაზღვრავს. მაგალითად, დეგრადირებული და დაზიანებული ნიადაგის მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება და დეგრადირებული მიწის აღდგენის საშუალებების განსაზღვრა.
- სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია მიზნად ისახავს ნიადაგის დეგრადაცია პესტიციდებისა და სასუქის მართვის, ნარჩენების მონიტორინგისა და მელიორაციის სისტემის გაუმჯობესების დახმარებით შეამსუბუქოს.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კლიმატის ცვლილების სტრატეგია ნიადაგის გაუმჯობესებისა და კონსერვაციის კუთხით რეკომენდაციებს მოიცავს: ნიადაგის დაცვა ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებისგან, ნიადაგის ტიპების მონაცემთა ბაზის შემუშავება და სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენება ეროზიის შესამცირებლად.

Error! Unknown document property name.









- ბათუმში კონტრაქტორმა დაიწყო ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა; არსებული ნაგავსაყრელი კი უნდა დაიხუროს. EBRD-ს ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი ამ საკითხის მოგვარების კუთხით აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ერთგვარი გაგრძელებაა. ახალი ნაგავსაყრელი ხელს შეუწყობს ამჟამინდელი ნაგავსაყრელით გამოწვეული ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დაზიანებების შემცირებას.



პრიორიტეტული გამოწვევები

ნიადაგის ხარისხი ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შესაბამისი მონაცემების ნაკლებობაზე ინდუსტრიული ობიექტების ტერიტორიების შესახებ და ცინკის მაღალ კონცენტრაციას ნიადაგში.

დაინტერესებულმა მხარეებმა ბათუმში ნიადაგის ხარისხთან დაკავშირებული შემდეგი პრიორიტეტული გამოწვევები განსაზღვრეს და ისინი პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეს:


ს/კ	გამოწვევის აღწერა	GCAP-ისთვის აქტუალური სექტორი/სექტორები
SQc1	დაზიანებული ადგილების შესახებ მონაცემების სიმწირე: ამჟამად არ არსებობს მიმდინარე ან წარსულში განხორციელებული ინდუსტრიული საქმიანობის შედეგად დაზიანებული ადგილების შესახებ მონაცემები. თუმცა, ცნობილია, რომ ასეთი ადგილები საკმაოდ მრავლადაა.	 
SQc2	მყარი ნარჩენების მართვის არაეფექტური პრაქტიკები: ნარჩენების არალეგალური განთავსება და ნაგავსაყრელები, რომლებიც სანიტარიული წესების დაცვის გარეშე ფუნქციონირებს, მიმდებარე ტერიტორიებზე ნიადაგის ხარისხს ზიანს აყენებს.	
SQc3	ურბანული იერსახე და ინფრასტრუქტურა: ქალაქში ხშირად ვხვდებით გაუმტარ ზედაპირებს და ურბანული მწვანე სივრცეების ან მდგრადი ურბანული დრენაჟის სისტემების ნაკლებობას, რომელთა გამოყენებაც ბუფერული ზონების სახით შეიძლება. გარდა ამისა, არ არსებობს სტანდარტები და სტიმული ისეთი ახალი მშენებლობებისთვის, რომლებიც მწვანე დიზაინის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.	
SQc4	სატრანსპორტო საშუალებების დაბალი ხარისხი და საცობები: ავტომობილების სიძველისა და დაბალი ხარისხის გამო ნიადაგის ხარისხს დამატებითი წნეხი აწევა საწვავის გაჟონვიდან და საცობების სიხშირიდან გამომდინარე.	   

Error! Unknown document property name.

წყლის ხარისხი და მისი ხელმისაწვდომობა

საქართველო წყლის ჭარბი რესურსებით ხასიათდება. ამჟამად წყლის სრული რეზერვის დაახლოებით 2%-ის აბსტრაქცია ხდება და წყლის ეროვნული მოხმარების დონე საკმაოდ მდგრადია.

ბათუმში შეზღუდულია ზედაპირის წყლების ხარისხის შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობა. არსებული მონაცემების უდიდესი ნაწილი კი ჟანგბადის ბიოქიმიურ მოთხოვნილებას (BOD) ეხება, რაც მისი ხარისხის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ ინფორმაციას გვაწვდის. BOD დონე ჩოროხის მდინარეში კარგია, თუმცა, ყოროლისწყლისა და მეჯინისწყლის მდინარეების შემთხვევაში მისი დონე უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა და დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. კუბა-წყლისა და ბარცხანის მდინარეების BOD მაჩვენებლები შედარებით დაბალია და მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად აქტიური ჩარევაა საჭირო. დაბალ მაჩვენებლებს შესაძლოა რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენი წყლები და მდინარისპირა ზონები ბათუმის გარეთ.



რა კეთდება ამჟამად?

- ეროვნულ დონეზე ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის გეგმა (2016-2021) მიზნად ისახავს ტრანსსასაზღვრო აუზების წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და საქართველოს გარდა ის მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვასა და უკრაინას.
- ბათუმის მინიციპალიტეტმა და „ბათუმის წყალმა“ გამდინარე წყლების დამამუშავებელი ქარხანა დააარსა, რომელიც ადლიაში 2010 წელს აშენდა.
- სასმელი წყლის სისტემასა და კანალიზაციის ქსელში მნიშვნელოვანი ინვესტიციები გაკეთდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მოსახლეობის 91% კანალიზაციის ქსელით სარგებლობს და თითქმის ყველა მაცხოვრებელს აქვს უწყვეტი (24/7) წვდომა სასმელ წყალზე.

პრიორიტეტული გამოწვევები

ბათუმის წყლის ციკლის პრიორიტეტულ გამოწვევებზე მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ ნაწილი 2.6.5


Error! Unknown document property name.

2.6 სექტორების საწყისი მდგომარეობის შეფასება

ნაწილი 2.6 აღწერს ზეწოლის არეებს და მართვის არსებულ მიდგომებს, რომლებიც ბათუმის სხვადასხვა სექტორებში არსებობს (მაგ. მყარი ნარჩენების მართვა, ტრანსპორტი, მიწათსარგებლობის დაგეგმვა). სექტორები თანხვედრაშია PSR ჩარჩოს ფარგლებში არსებულ ინდიკატორებთან. დამატებითი ინფორმაციისთვის ინდიკატორების შესახებ, იხილეთ დანართი A.

მიწათსარგებლობა

მიუხედავად წარსული ძალისხმევებისა, რომ ბათუმში სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომები განხორციელებულიყო, ბათუმის ბოლოდროინდელი სწრაფი განვითარება და გაფართოება უმეტესად ფორმალური დაგეგმვის სტრატეგიის მიღმა მიმდინარეობდა.



რა კეთდება ამჟამად?

- 2005 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სივრცის მოწყობასა და ურბანულ განვითარების შესახებ“, რომელმაც სივრცული დაგეგმვის პროცესის რეგულაცია დაიწყო. მას საფუძვლად უდევს საქართველოს სივრცული დაგეგმვის, არქიტექტურისა და მშენებლობის კოდექსი.
- საპასუხოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა აჭარის სივრცული დაგეგმვის სექცია. ლოკალურ დონეზე ბათუმში ერთ-ერთი იმ მცირე ქალაქთაგანია საქართველოში, რომლებმაც მიწათსარგებლობის გეგმა შეიმუშავეს სისტემური მიდგომის განვითარების რეგულაციისთვის. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2021) ურბანული დაგეგმვისა და რეგულაციებსა და ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ძირითად პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

ზეწოლის არეები

ბათუმის მიწათსარგებლობის შემდეგი გამოწვევები იქნა განსაზღვრული და შემდგომ, დაინტერესებული მხარეების მიერ პრიორიტეტების მიხედვით დალაგებული:

ს/წ	აღწერა	შესაბამისი გარემოსდაცვითი ღირებულებები
LUc1	ავტომანქანებზე ორიენტირებული ურბანული ფორმები: ბათუმში გადაადგილების უმეტესობა კერძო ავტომანქანებით ხდება. ქალაქის უდიდესი ნაწილი ავტომანქანებზეა გათვლილი და მშენებლობებიც უმეტესად ავტომანქანებზეა ორიენტირებული.	
LUc2	კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი საფრთხეების ინტეგრაციის ნაკლებობა: ბათუმის კლიმატის ცვლილების რისკები მოიცავს გვალვასა და წყალდიდობას, როგორც წვიმის, ასევე ზღვის მზარდი დონიდან გამომდინარე. ეს რისკები სისტემატიურად არ არის გათვალისწინებული ბათუმის მიწათსარგებლობის გეგმებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ მშენებლობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას შესაძლებელია მხედველობაში არ იქნეს მიღებული კლიმატის ცვლილებები, რაც გაზრდის ქალაქის მოწყვლადობას (მაგ. წყალდიდობის რისკს დაუცველ ადგილებში და ასევე, გაზრდის ზეწოლას დრენაჟზე).	სხვადასხვა სექტორი
LUc3	მწვანე სივრცეების დაცვა და გაფართოება: როგორც 2.5.4 ნაწილში აღვნიშნეთ, ბათუმის მაღალი ხარისხის მწვანე ღია სივრცეები არაპროპორციულადაა განაწილებული ტურისტულ სივრცეებში და სანაპიროზე. გარდა ამისა,	

Error! Unknown document property name.

	არსებული მწვანე სივრცეები გამოირჩევა დაკავშირების დაბალი დონით, რომელმაც ამ სივრცეების ბუნებრივ საარსებო გარემოს უნდა შეუწყოს ხელი. მშენებლობის ამჟამინდელი რეგულაციები მოიცავს მწვანე სივრცეების კოეფიციენტს, თუმცა ის არ არის ადეკვატური და ყოველთვის თანმიმდევრულად არ ხორციელდება.	
LUc4	შესაბამო განხორციელება: არსებული მტკიცებულებების მიხედვით, მიწათსარგებლობის ამჟამინდელი დაგეგმვის სისტემა (მაგ. გამწვანების კოეფიციენტები) რეგულარულად არ არის დაცული ახალ მშენებლობების შეფასებისას.	სხვადასხვა სექტორი


მყარი ნარჩენები

საქართველომ გააძლიერა ძალისხმევა რესურსების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, მყარი ნარჩენების წარმოქმნის შესამცირებლად და ქვეყნის მასშტაბით ქალაქებსა და რეგიონებში არსებული დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად. ნაწილობრივ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ეროვნულმა მთავრობამ უკანასკნელ წლებში პოლიტიკის მთელი რიგი ზომები მიიღო, მათ შორის მუნიციპალიტეტების მიმართ მოთხოვნა მყარი ნარჩენების სეპარირებისათვის 2019 წლიდან და პლასტიკის პარკების წარმოებისა იმპორტის ეტაპობრივი აკრძალვა.

მიუხედავად იმისა, რომ გადამუშავების ურნები ბათუმის ბუღევარდში დაიდგა და ზოგიერთი კერძო კომპანია გადამუშავებად მასალას ქალაქში აგროვებს, არ არსებობს დაწესებულებები, რომლებიც ქალაქის მიზნებს შეასრულებს; ამასთან, არ არსებობს არც დაფინანსება ასეთი დაწესებულებების შესაქმნელად.

რა კეთდება ამჟამად?

- 2018 წელს ეროვნულმა მთავრობამ აკრძალა თხელი (15 მიკრონი და ნაკლები) პლასტიკის პარკების წარმოება და იმპორტი.
- 2019 წლიდან საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა უნდა შემოიღოს წყაროსთან სეპარირება, თუმცა, ბათუმში ეს ჯერ კიდევ განსახორციელებელია.
- SIDA-სა და EBRD-ის მიერ დაფინანსებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტი აჭარაში“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო ამჟამად ბათუმსა (გონიოს დასახლება) და ქობულეთში არსებულ არასანიტარულ ნაგავსაყრელებს ეტაპობრივად ხურავს.
- ბათუმის მყარი ნარჩენების მართვის გეგმა 2020 წლისთვის გარკვეულ მიზნებს ისახავს (ქალაქის 30%, შუშის 20%, მეტალის 70% და პლასტმასის 30%). არ არსებობს დაწესებულებები, რომლებიც ქალაქის მიზნებს შეასრულებს; ამასთან, არ არსებობს არც დაფინანსება ასეთი დაწესებულებების შესაქმნელად.
- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორები მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევენ ადგილობრივ და ეროვნულ ხელისუფლებას ნარჩენების მართვის კუთხით. მაგალითად, EBRD ატარებს შესაძლებლობების კვლევას ბათუმის ნაგავსაყრელის დახურვასთან დაკავშირებით აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის გაგრძელების ფარგლებში.



ზეწოლის არეები

ბათუმში გამოვლინდა მყარი ნარჩენების მომდევნო გამოწვევები, რომლებიც დაინტერესებულმა მხარეებმა პრიორიტეტების მიხედვით დააღაგეს:

ს/კ	აღწერა	შესაბამისი გარემოსდაცვითი ღირებულებები
SWc1	სამშენებლო ნარჩენების არამდგრადი პრაქტიკები: ბათუმის მშენებლობების სწრაფი ტემპი დიდი მოცულობით ნარჩენებს წარმოქმნის. სამშენებლო	

Error! Unknown document property name.

	მასალების გადამუშავება არ არის გავრცელებული პრაქტიკა და არასწორი განთავსება უდიდეს პრობლემად რჩება.	
SWc2	ნაგავსაყრელების არასანიტარული მდგომარეობა: ბათუმის ამჟამინდელი მთავარი ნაგავსაყრელი ევროკავშირის სტანდარტებს საგრძნობლად ჩამორჩება. ის ჭოროხის მდინარის მახლობლად მდებარეობს და მიწის, წყლისა და ჰაერის დაბინძურების აქტიური წყაროა.	
SWc3	ნარჩენების არალეგალური გადაყრა: არარეგალური ნაგავსაყრელები ბათუმში ძალიან ხშირია. ამჟამინდელი რესურსები და მიდგომები არასაკმარისია პრობლემის აღმოსაფხვრელად.	
SWc4	დაბალი ცნობიერება და საჭირო ინფრასტრუქტურა: საზოგადოებრივი ცნობიერება რესურსების მართვისა ნარჩენების იერარქიის შესახებ ზოგადად დაბალია. ამას ემატება გადამამუშავებელი დაწესებულებების არარსებობაც.	სხვადასხვა სექტორი
SWc5	ინფორმაციის ნაკლებობა და მიწის დაბინძურება: ცნობილია, რომ ბათუმში მიწა დაბინძურებულია წარსულის და ამჟამინდელი ინდუსტრიული საქმიანობით. თუმცა, ადგილმდებარეობებისა და დაბინძურების დონის შესახებ არსებობს მხოლოდ ანეკდოტური მტკიცებულებები.	

ენერჯის მიწოდება და შენობები

ევროკავშირის საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულებაზე დაყრდნობით გატარდა მნიშვნელოვანი ეროვნული საკანონმდებლო რეფორმები, რომლებიც შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ქალაქ ბათუმს ენერჯის გამომუშავების რეგულაციის მცირეოდენი ბერკეტი გააჩნია და არსებობს ელექტროენერჯის განაწილების პრობლემებიც; პოლიტიკა დგინდება ეროვნულ დონეზე და განაწილება აჭარაში „ენერჯო-პროსა“ (ელექტროენერჯია) და „სოკარის“ (გაზი) მიერ ხდება.



საქართველოში ელექტროენერჯის 80%-მდე ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავდება, ხოლო დანარჩენი უმეტესად თბოელექტროსადგურების გამომუშავებითა და იმპორტით მიიღება. ელექტროენერჯის გამომუშავებით გამოწვეული ემისიების ინტენსიობა ზაფხულში უფრო მაღალია, მაშინ, როდესაც მდინარეებს დინება იკლებს და წყლის ენერჯის პოტენციალიც მცირდება, ხოლო ზაფხულში გაგრილებაზე მოთხოვნა მატულობს.

რა კეთდება ამჟამად?

- ეროვნულმა მთავრობამ შექმნა საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი (GEDF), რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წყაროების ტექნოლოგიების განვითარებას, რის შედეგადაც შეიქმნა პირველი ფართომასშტაბიანი ქარის ელექტროსადგური ქართლში. წყლის ენერჯიაში ფართომასშტაბიანი ინვესტიციები კი ამჟამადც ხორციელდება.
- ეროვნულ დონეზე საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ აღნიშნული გეგმის მომზადების დროს იყო პარლამენტში განხილვაზე. ეროვნულმა ხელსუფლებამ გამოთქვა სურვილი შექმნას თითქმის ნულოვანი ენერჯის შენობები (NZEB), რაც მნიშვნელოვანი მიზანია და მსოფლიოში მისი ფართომასშტაბიანი დანერგვის მიღწევას ცდილობენ. ეს მოითხოვს ცვლილებებს დიზაინისა და მშენებლობის პრაქტიკებში.
- ქალაქი ბათუმი ტენდერებს აცხადებს მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ენერგოეფექტურობის ხელშესაწყობად ცვლილებების განსახორციელებლად.

Error! Unknown document property name.

- ქალაქი ბათუმი ასევე თანადაფინანსებას უწევს (ამხანაგობების ასოციაციებთან ერთად) საცხოვრებელ მრავალბინიან კორპუსებში სამუშაოების ჩატარებას.
- ბათუმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა (SEAP), რომელიც 2014 წელს დამტკიცდა, და მიზნად ისახავს 2020 წლამდე BAU-სთან შედარებით GHG ემისიების 22%-ით შემცირებას.

ზეწოლის არეები

გამოვლინდა ენერჯის მიწოდებისა და ბათუმის შენობების შემდეგი გამოწვევები, რომლებიც დაინტერესებულმა მხარეებმა პრიორიტეტების მიხედვით დააღაგეს:

ს/კ	აღწერა	შესაბამისი გარემოსდაცვითი ღირებულებები
ESc1	შენობების დაბალი ხარისხი: ბათუმში საცხოვრებლის სახლების თითქმის 90% 90-იანი წლებამდე, საბჭოთა კამირის დროსაა აშენებული და თხელი კედლებისა და ერთმაგი შეშენვის, ხის ფანჯრებით, წყლის გაჟოვის პრობლემებითა და თერმული გამტარუნარიანობის დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება. მრავალი სხვა ახალი შენობა ბათუმში უკანასკნელ წლებში ენერგოეფექტურობის სტანდარტების უზულვებელყოფით აშენდა.	
ESc2	ელექტროენერჯის მოხმარების და მიწოდებაზე წნეხის მაღალი დონე: ბათუმის საყოფაცხოვრებო სექტორში ელექტროენერჯის მოხმარება 4.3-ჯერ მეტი იყო 2017 წელს 2007 წელთან შედარებით. ბათუმის ენერგეტიკული ქსელი წნეხის წინაშე დგას, რომელიც სწრაფ მშენებლობებთანაა დაკავშირებული და ამასთან, მომავალში მოსალოდნელია ჰაერის კონდიციონებიდან და კრიპტოვალუტის საქმიანობაზე მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე წნეხის კიდევ უფრო გაზრდა.	
ESc3	განხორციელების ნაკლებობა და სტანდარტებისა და სერტიფიკატების შესახებ ცნობიერების არარსებობა: ამჟამად ბათუმში არ არსებობს ენერგოეფექტურობის სტანდარტები, თუმცა კანონპროექტი პარლამენტშია შეტანილი. ამჟამად ბათუმში მხოლოდ ორი საწარმო ფლობს ISO 50001 ან/და ISO 14001 სერტიფიკატს. ასევე, იხილეთ გამოწვევა Ic4.	
ESc4	ახალი სტანდარტების დასანერგად საჭირო შეზღუდული ადგილობრივი შესაძლებლობები: ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ცნობიერება ზოგადად დაბალია და არსებობს კვალიფიციური პროფესიონალების (მაგ. დიზაინერები, აუდიტორები) ნაკლებობა აჭარაში, რომლებიც მხარს დაუჭერენ შენობებში ენერგოეფექტურობის სტანდარტების დანერგვას. ამ გამოწვევასთან დაკავშირებული აქტივობები განხილულია 3.6 ნაწილში.	
ESc5	ენერჯის მიწოდების შეწყვეტა დ ქსელის მედეგობის დაგეგმვა: ელექტროენერჯისა და გაზის არსებული ქსელები ასევე არ არის კარგად აღჭურვილი იმისათვის, რომ ახალ დატვირთვას გაუძლოს. GCAP-ს გუნდს მწირი ინფორმაცია მიეწოდა ბუნებრივი კატასტროფებისა და სხვა ისეთი საშიშროებებისთვის საჭირო დაგეგმვის დონეზე, რომელთაც ქსელის შეფერხება შეუძლიათ გამოიწვიონ	

ტრანსპორტი

ქალაქ ბათუმის მაცხოვრებლებისათვის მობილობა მნიშვნელოვანი საკითხია. ტრანსპორტში უმეტესად კერძო ავტომანქანები ჭარბობს, რაც მოძრაობას ტვირთავს და ასოცირებულია ჰაერის ხარისხის გაუარესებასა და სათბური გაზების ემისიებთან. სექტორი ასევე ხასიათდება ძველი და არაეფექტიანი კერძო „მარშრუტკებით“,

Error! Unknown document property name.

**ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.**

Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.
Error! Unknown document property name.


**Error! Unknown document
property name.**

მუნიციპალური ავტო-პარკითა და შეუსაბამო პარკინგის ინფრასტრუქტურით, უსაფრთხოების ნაკლებობით, დაკავშირებული ხელმისაწვდომი ალტერნატიული ტრანსპორტის შესაძლებლობების ნაკლებობით (მაგ. ველოსიპედები და ფეხით მოსიარულეთა ქუჩები).

Error! Unknown document property name.

რა კეთდება ამჟამად?

- ეროვნულ დონეზე ახალ, ჰიბრიდულ ავტომანქანებზე შემცირებული აქციზია გათვალისწინებული, ელექტრომობილები იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან, ხოლო 14 წელზე უფრო ძველ ავტომანქანებზე აქციზი გაზრდილია.
- სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება ცოტა ხნის წინ შევიდა ძალაში და ხორციელდება.
- ბათუმის შემოვლითი გზისა და ბათუმი (ჭოროხის)-სარგის გზების მშენებლობა.
- EBRD-ს მხარდაჭერით ელექტრო-ავტობუსების შექმნა.
- ქალაქ ბათუმს აქვს „ბათუმიველოს“ ველოსიპედების გაზიარების სქემა, თუმცა, ველოსიპედები და მხადაჭერი ინფრასტრუქტურა უფრო და უფრო ცუდ მდგომარეობაშია.
- UNDP-ს „მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ბათუმისა და აჭარისთვის“ პროექტი მოიცავს მუნიციპალური პარკინგის ახალ სტრატეგიას, ურბანული ტრანსპორტის მდგრად კორიდორებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციის განვითარებას, ველოსიპედების სისტემის გაუმჯობესებასა და ტრანსპორტის მოდელირების პროგრამულ უზრუნველყოფას.



ზეწოლის არეები


ბათუმის ტრანსპორტის სექტორში მომდევნო გამოწვევები გამოვლინდა, რომლებიც დაინტერესებულმა მხარეებმა პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეს:

ს/კ	აღწერა	შესაბამისი გარემოსდაცვითი ღირებულებები
Tc1	მომგებულ და არაეფექტიანი კერძო, მუნიციპალური და „მარშრუტების“ ავტობარკი: ბათუმში ავტომანქანები საშუალოდ 18.2 წლისაა. „მარშრუტების“ ავტობარკის უმეტესობა Euro 2 სტანდარტებს შეესაბამება, რაც ეროვნულ მოთხოვნას, Euro 5-ს საგრძნობლად ჩამოუვარდება (სამომავლოდ დაგეგმილია Euro 6-მდე გაზრდა).	
Tc2	ავტობარკინგის ინფრასტრუქტურის არარსებობა: არსებობს ტენდენცია, რომ მაცხოვრებლები მცირე მანძილზეც კი ავტომანქანებით გადაადგილდებიან; მძღოლებმა ქალაქის ცენტრს წრე უნდა დაარტყან, რომ მანქანის გასაჩერებელი ადგილ იპოვონ ან არალეგალურ, საფრთხის შემცველ მეთოდებს მიმართონ, როგორცაა ტროტუარზე ან ველოსიპედის ზოლზე გაჩერება.	
Tc3	მთავარ გზებზე გადატვირთვის მაღალი დონე: კერძო ავტომანქანების გამოყენების კულტურა, მუნიციპალური ავტობუსების დაბალი სიჩქარე (მათ შორის, მცირე მანძილი გაჩერებებს შორის) „მარშრუტების“ დიდი ოდენობა და არაადეკვატური პარკინგი გადატვირთვას კიდევ უფრო უწყობს ხელს.	
AQc3	საწვავის ხარისხი: იხილეთ AQc3.	

Error! Unknown document property name.

წყლის ციკლის მენეჯმენტი

ბათუმის წყალმომარაგების ქსელი დაახლოებით 285 კმ-ზე ვრცელდება. 2007 წლამდე, ბათუმის წყლის მენეჯმენტის პროცესებმა შედეგი გამოიღო მნიშვნელოვან წყლის დანაკარგებში. როგორც მიწოდების ქსელის შემთხვევაში, წყალარინების სისტემის მდგომარეობის გამო (ბოლო განახლებამდე), გადაუმუშავებელი წყლების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩადიოდა მდინარეებსა და შავ ზღვაში.



2007 წლიდან, ბათუმში, გერმანიის ბანკ KfW- თან თანამშრომლობით, ვითარდება როგორც მიწოდების, ისე ჩამდინარე წყლების გამწმენდის ქსელების ოთხ-ეტაპიანი განახლება. ამან გამოიწვია წყლის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წყლის ციკლის მასშტაბით. სასმელი წყლის ქსელის დიდი ნაწილი (89%) გაუმჯობესდა და ახლა წყლის დანაკარგი დაახლოებით 25% -ს შეადგენს. ეს ევროპულ მაჩვენებელს უტოლდება, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალია ახალი ქსელისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხერხდა კონკრეტული მონაცემების მოძიება დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რაოდენობის შესახებ, ზედაპირული წყლებისა და მდინარეების ადიდების რისკები ბათუმში არსებობს. ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხდა მრავალი წყალდიდობა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 2018 და 2014 წლებში. წყალდიდობის შემცირებისა და სანიაღვრე ყურეების არასასურველი შენარჩუნების შემცირება. წყალდიდობის უმთავრეს მიზეზად დასახელებულია გამტარიანობის შემცირება და სანიაღვრე ღარების შეუსაბამო უზრუნველყოფა.

რა კეთდება ამჟამად?



- ეროვნულ დონეზე, არსებობს მრავალი მექანიზმი, რომლებიც წყლის ხარისხს არეგულირებს, მათ შორის „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასევე დასრულებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი და ძალაში შესვლას ელოდება.
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • ფრინველთა სახეობების სიმრავლე • ცხოველთა სხვა სახეობების სიმრავლე • მუნიციპალური ნარჩენების პროცენტული მაჩვენებელი ღია ნაგავსაყრელებზე, კონტროლირებად ნაგავსაყრელებზე, წყალში ან დამწვარ ნარჩენებში • მუნიციპალური ნარჩენების პროცენტული მაჩვენებელი EU-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფ სანიტარულ ნაგავსაყრელებზე 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 26,000 ლ - 2 CCTV-ის ღირებულება OPEX: 7,500 ლ დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - სამუშაო ადგილების შექმნა, აიდებული ზიანი
	სოციალური თანამონაწილეობა	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	დიახ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა - შემცირებული დაბინძურება
	CO2 დანაზოგები	NA

ნარჩენების მინიმიზაციისა და დაბინძურების ქმედებების სარგებელი

სარგებლის კატეგორია	ინდიკატორი	შეფასება	ჯამური შეფასება
ეკონომიკური განვითარება	ეკონომიკური ზრდა	1	9
	სამუშაო ადგილების შექმნა	2	
	ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა	2	
	შემოსავლიანი აქტივობები	2	
	თავიდან აცილებული ხარჯები	2	
სოციალური თანამონაწილეობა	წვდომა ძირითად სერვისებზე	2	3
	უნარების განვითარება	1	
	სოციალური თანასწორობა	0	
	სოციალური ერთიანობის გაძლიერება	0	
ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - ცხოვრების უფრო აქტიური სტილი	0	3
	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - დაბინძურების შემცირება	2	
	სამუშაო გარემოს უსაფრთხოება	1	

ეკონომიკური განვითარება

ნარჩენების მართვის ეფექტურმა და ეფექტიანმა სისტემამ შესაძლოა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე ახალი ბაზრებისა და გრძელვადიანი შემოსავლის შექმნის მეშვეობით. ამავდროულად, მცირდება ნარჩენები და მასთან დაკავშირებული დაბინძურების დონე.

სამუშაო ადგილების შექმნა

ნარჩენებისა და დაბინძურების მინიმიზაციის შემოთავაზებული ქმედებები სავარაუდოდ მხარდამჭერ ტექნიკურ და საკონსულტაციო სერვისებს მოითხოვს. ეს შექმნის სამუშაო ადგილებს, როგორებიცაა:

- დიზაინი, ინჟინერია, პროექტების მართვა, სამუშაოები ნარჩენებისა და გადამუშავების ობიექტების მშენებლობის ეტაპისთვის.
- შერეობასთან, დამუშავებასთან, მართვასა და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოები ნარჩენების, ანაერობული დამუშავებისა და გადამუშავების ობიექტებში.
- ინსპექციასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სამუშაოები მუნიციპალურ მთავრობაში მშენებლობის მდგრად პრაქტიკებთან შესაბამისობისა და ნარჩენების უკანანო გადაყრის მონიტორინგისათვის.
- სპეციალისტი კონსულტანტები, რომლებიც სამშენებლო კომპანიებს ტრენინგებს ჩაუტარებენ, არსებულ ინდუსტრიულ ტერიტორიებს აღრიცხავენ და დაბინძურების ხარისხზე შეამოწმებენ.

მთლიანობაში, ამ ქმედებებს 100-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნის პოტენციალი აქვს და სავარაუდოდ, მათი უმრავლესობა ადგილობრივი კადრებით შეივსება.

გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა

ამ სექტორში შემოთავაზებული ქმედებებიდან რამდენიმე ეკონომიკურ ეფექტიანობასაც ზრდის. მშენებლობებზე მიმდინარე პროცესების მდგრადობის გაუმჯობესება შეამცირებს მშენებლობიდან ფეხით მოსიარულეთა ზონებში შეჭრასა და პოტენციურად სახიფათო ქმედებებს (მაგ. ბარიერების შექმნა ტროტუარებზე ან ქუჩებში, მტვრის სუნთქვა და ა.შ.).

გარდა ამისა, არალეგალური ნაგავსაყრელების მონიტორინგი შეამცირებს ქალაქის მიმდინარე ხარჯებს მათ ტექნიკურ უზრუნველყოფასა და დასუფთავებაზე გაწეულ ხარჯებს. დამატებით, CDW-ს აქვს მშენებლობის ახალი პროექტებისთვის გადამუშავების დიდი პოტენციალი, რაც გამოუყენებელი მასალების საჭიროებას და

შესაბამის ხარჯებს შეამცირებს. ასევე მრავალი ქმედება არაპირდაპირ უწყობს ხელს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების განვითარებას ნარჩენების მართვის იერარქიის განვითარებისა და განხორციელების კუთხით.

ეკონომიკური განვითარება

ნაგავსაყრელზე აირების დაგროვების ობიექტი ადგილობრივად გამოიმუშავებს ენერჯიას კვების ამ მუდმივ წყაროზე დაყრდნობით. ენერჯია ქსელს მიეწოდება და მიწოდების უსაფრთხოებას და სტაბილურობას გააუმჯობესებს, რაც სარგებლის მომტანი იქნება ადგილობრივი და ეროვნული ეკონომიკისთვის და შეამცირებს ელექტროენერჯიის მიწოდების სავარაუდო შეწყვეტებით გამოწვეულ ხარჯებსა და მოხმარების პიკის პერიოდებში იმპორტის საჭიროებას.

შემოსავლიანი აქტივობები

ნარჩენებთან დაკავშირებულ რამდენიმე ქმედებას შემოსავლის მოტანაც შეუძლია. შერჩეულ საოპერაციო მოდელის მიხედვით, სამშენებლო ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტი შესაძლოა მუნიციპალიტეტისთვის შემოსავლის დამატებით წყაროდ იქცეს. მაგალითად, ნამტვრევი ქვები შეიძლება გამოყენებულ იქნას გზების ბაზად ან ცემენტის ბლოკებისთვის. ასევე, ახალი ნაგავსაყრელების აირებიდან გამომუშავებული ენერჯია ელექტროენერჯიის ქსელზე გაიყიდება ან ის ელექტროენერჯია გამომუშავდება, რომელიც ნაგავსაყრელისთვის იქნება საჭირო.

არსებულ ნაგავსაყრელს ასევე აქვს შემოსავლის მოტანის პოტენციალი მისი დახურვის ან რემედიაციის შემდეგ, მუნიციპალიტეტს შეუძლია გაყიდოს (ან დაბეგროს) მიწა ნაგავსაყრელის მშენებლობის ან კონსერვაციისთვის. გადამამუშავების პრაქტიკის დანერგვა ქალაქისთვის ახალი საშუალებაა დაიწყოს გადამამუშავებული პროდუქტების გაყიდვა რაც დამატებითი შემოსავალი იქნება მწარმოებლებისათვის.

ზიანის ხარჯების თავიდან აცილება

შემოთავაზებულ ქმედებებს შეუძლია გარემოსა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენების შემცირება, რაც არალეგალურ ნაგავსაყრელებსა და ძველ, ევროკავშირის სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელებთანაა (ორივე მათგანს შეუძლია ნიადაგის წყლის დაზინძურება) დაკავშირებული. დაზინძურება, თავის მხრივ, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისთვის და პოტენციურად, სასოფლო სამეურნეო მოსავლისთვის დამატებით ხარჯებს ნიშნავს თუ ნიადაგი და წყალი აგრარულ მიწებზე დაზინძურდება. გარდა ამისა, არამდგრადი სამშენებლო ობიექტების მიერ ჰაერის დაზინძურებას ადგილობრივი მაცხოვრებლების ჯანმრთელობაზე გამანადგურებელი ეფექტის გამოწვევა შეუძლია.

სოციალური თანამონაწილეობა

ქმედებები, რომლებიც ბათუმში კონკრეტულად გადამამუშავების პროცესებსა და კულტურას წამოწევს წინ, ნარჩენების გადაყრაზე წვდომას აუმჯობესებს და იზრდება ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობაც.

ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება

გადამამუშავებელი ნარჩენები ან ნარჩენები, რომლებიც შეუსაბამოდ იქნა გადაყრილი უარყოფით გავლენას ახდენს მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლების ჯანმრთელობაზე.⁴ კვლევები აჩვენებს, რომ ნარჩენებთან დაკავშირებულ დამაზინძურებლებთან შეხება ზრდის კიბოს, დაზადებისას არსებული დევექტებისა და სასუნთქი გზების დაავადებების რისკს. მაცხოვრებლებს შეხება შესაძლოა ჰქონდეთ ჰაერის, ნიადაგის ან წყლის მეშვეობით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნარჩენები ამ მიდამოებში ხშირად არასწორადაა განთავსებული. აქედან გამომდინარე, არასწორი აღსრულება და არსებული ნაგავსაყრელების შეცვლა მაცხოვრებლების ჯანმრთელობას გააუმჯობესებს.

⁴ WHO (2015) ნარჩენები და ადამიანის ჯანმრთელობა: მტკიცებულებები და საჭიროებები. ხელმისაწვდომია:

http://www.euro.who.int/data/assets/pdf_file/0003/317226/Waste-human-health-Evidence-needs-mtg-report.pdf [ამოღებულია 2019 წლის აგვისტოში].

3.3 ენერჯის ეფექტური და მედეგი სისტემები

ენერგეტიკის სფეროში ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საქართველოში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმები გატარდა. მათ შორის, შემუშავდა განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა და - კანონპროექტი შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ. ბათუმი ხედავს ეროვნულ დონეზე მიმდინარე მოვლენებს და ასევე იღებს ვალდებულებას, ენერგეტიკის **სისტემები ეფექტური და მედეგი გახადოს.**

მე-2 ნაწილში მოცემული გამოწვევების საპასუხოდ, ენერგეტიკის სისტემების ეფექტიანობისა და მედეგობის მისაღწევად, ბათუმმა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები შეარჩია:

ჩვენი სტრატეგიული ამოცანები	შესაბამისი გამოწვევები	მიზნები
ES1 შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური ეფექტიანობის გაუმჯობესება	GHGc2, GHGc4, Cc3, ESc1, ESc3, ESc4, Wc4, Ic1	ახლად აშენებული შენობების 100% - ით უნდა შეესაბამებოდეს ენერგოეფექტურობის მაღალ სტანდარტებს
ES2 განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია	NA	20%-ით ზრდა 2050 წლამდე; 50%-ით ზრდა 2030 წლამდე
ES3 ელექტრო ენერჯის ქსელების მედეგობის გაზრდა მიწოდების წნეხის და ბუნებრივი საფრთხეების მიმართ	Cc1, LUc2, ESc2, ESc5	რისკის ქვეს მყოფი საჯარო ინფრასტრუქტურის შემცირება. ელექტრო ენერჯის დიდი ხნით შეწყვეტის მინიმოზაცია

სწავლა სხვა ქალაქების მაგალითებზე - სეულის შენობების განახლება მონაცემების გამოყენებით

მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო 2012 წელს სეულმა ენერგო აუდიტი ჩაატარა, რომელმაც აჩვენა, რომ ქალაქში ენერჯის მოხმარების ნახევარზე მეტი შენობებზე მოდის. საპასუხოდ, სეულის მუნიციპალურმა მთავრობამ (SMG) შენობებსა და მომსახურების კომპანიებს 8 წლიანი სესხები შესთავაზა წლიური 1.75%-ით (საბაზრო განაკვეთის ნახევარი) მუნიციპალური შენობების განახლებისათვის. პროგრამა 2013 წლისთვის ყველა ტიპის შენობას მოიცავდა და მასში 14 000 ნაგებობა ჩაერთო.

გარდა ამისა, SMG-მ შექმნა ენერგეტიკული კეთილდღეობის ფონდი, განახლებული შენობებით დაზოგილი ენერჯის მონეტივების გამოყენებით. ფონდი სუბსიდირებს სთავაზობს ენერგეტიკულად ღარიბ მოხმარებლებს და ხელს უწყობს ხანდაზმულ მოქალაქეთა შენობების და საზოგადოებრივი ცენტრების განახლებას. ბათუმს მსგავსი პროგრამის შემუშავება შეუძლია, რომლის ფარგლებშიც არსებულ შენობებს IFI-ებისა და მთავრობის მიერ თანადაფინანსებული სესხების დახმარებით დეველოპერები განახლებენ.



ქვემოთ შეჯამებულია მწვანე ქალაქის ქმედებები ენერგეტიკული სისტემებისთვის. თითოეული ქმედების დეტალური აღწერა ხარჯებისა და სარგებლის პროგნოზებით ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 7 მწვანე ქალაქის ქმედებები ენერგეტიკული სისტემებისთვის

ს/კ	სტრატეგიული ამოცანები	ქმედება	მოსალოდნელი ხარჯები			ტიპი	ვადები
			CAPEX	OPEX	დიზაინის / განვითარების ხარჯები:		
ES01	ES1	ენერგოეფექტურობის სტანდარტების დანერგვის დაჩქარება ბათუმში	-	15,000-16,000 ლ	-	პოლიტიკა	2020 – 2025
ES02	ES2	მუნიციპალურ შენობებში მცირე სიმძლავრის განახლებადი ენერგიების წყაროებში ინვესტირება	5,914,400 - 8,871,600	-	-	გეგმა/სტრატეგია	2021 - 2025
ES03	ES1, ES2	მუნიციპალური შენობებისთვის ენერგოეფექტურობის სქემის დანერგვა	23,696,200 - 35,544,400 ლ	-	-	კაპიტალური პროექტი	2022 - 2025
ES04	ES1	მუნიციპალური გარე განათების განახლებაში ინვესტირება (მაგ. ქუჩის ლამპიონები) LED ნათურები	11,962,400 - 17,943,600 ლ	-	-	კაპიტალური პროექტი	2020 - 2022
ES05	ES1	პროგრამის შექმნა, რომელიც ენერგოეფექტურ ნათურებს მოწყვლად მოსახლეობას უფასოდ ან დაბალ ფასებში შესთავაზებს	66,000 ლ	-	-	პოლიტიკა	2020 - 2025
ES06	ES1, ES2	ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ადგილობრივი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად და განვითარებადი ინდუსტრიების ხელშესაწყობად ენერგოეფექტურობისა და მწვანე შენობების კუთხით	შემდეგ დისკუსიებზე დაყრდნობით თანამშრომლობის მექანიზმებზე შეთანხმება			გეგმა/სტრატეგია	2020 - 2025
ES07	ES1, ES2	მზის ენერგიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებლების დამონტაჟების წახალისება	NA	NA	NA	გეგმა/სტრატეგია	2021
ES08	ES3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ელექტროენერჯის ქსელის მედეგობის საფუძვლიანი გეგმის შემუშავება	NA	NA	885,360 - 1,328,040 ლ	გეგმა/სტრატეგია	2020 - 2021
ES09	ES2, ES3	ნეტო-აღრიცხვის სქემის პოპულარიზება ცნობიერების	NA	უმნიშვნელო	NA	გეგმა/სტრატეგია	2020 - 2025


Error! Unknown document property name.

ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.


Error! Unknown document property name.

**Error! Unknown document
property name.**Error! Unknown
document property name.
Error! Unknown document property name.


	ამაღლებსთვის					
--	--------------	--	--	--	--	--


ES01: ბათუმში შენობების ენერგოეფექტურობის სტანდარტების განხორციელების დაჩქარება		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES1 შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური ეფექტიანობის გაუმჯობესება	
აღწერა რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმი განაახლებს მშენებლობების ნებართვების წესებს რათა შემოიღოს ენერგოეფექტურობის ის მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შენობების ენერგოეფექტურობის ეროვნულ კანონპროექტთან. ეს წესები ასევე მოიცავს ენერგოეფექტურობის სავალდებულო ანგარიშგებას.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა მთავარი ამოცანებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიზნების განსაზღვრისას შენობებში ენერგოეფექტურობის დანერგვის მხრივ. ეროვნული კანონმდებლობის მუნიციპალურ პოლიტიკაზე მორგება უზრუნველყოფა, რომ მუნიციპალიტეტს შესაბამისი სტრუქტურა და რესურსები გააჩნდეს ახალი სტანდარტების დასაწერად. 	
მიზეზი რატომ?	ბათუმის ენერჯის მოხმარება ძირითადად შენობებში ხდება. ეს ნაწილობრივ საბჭოთა ინფრასტრუქტურის არაეფექტიანობიდან (ESc1) გამომდინარეობს და ნაწილობრივ იმ სტანდარტების არარსებობითაა გამოწვეული, რომელთაც ენერგოეფექტური მასალების გამოყენებას უნდა შეუწყოს ხელი ახალი მშენებლობების პროცესში (ESc3). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ენერგოეფექტურობა პრიორიტეტული არ იქნება, ბათუმი უფრო დიდ წვლილს შეიტანს სათბური გაზების ემისიებში, რადგან ახალი მშენებლობები მომდევნო ათწლეულების მანძილზე ისევ გაგრძელდება (GHGc2). გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამ შენობებს მაინც დასჭირდებათ ენერგოეფექტურობის კომპენსირებისთვის ახალი სტანდარტების შესაბამისად განახლება. გარდა ამისა, მალე სავალდებულო გახდება ენერგოეფექტურობის სტანდარტების გათვალისწინება ეროვნულ დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალურად ამ სტანდარტების გათვალისწინება გადაწყვეტ როლს თამაშობს.	
ქმედების ტიპი	პოლიტიკა	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი
	დაინტერესებული მხარეები	ბათუმის წამყვანი სამშენებლო კომპანიები, ქალაქი ბათუმი, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	დაზოგვის საშუალებებია შემცირებული დანახარჯები ენერჯიაზე, ენერგეტიკულ ქსელებზე შემცირებული წნეხი და კომფორტულ სახლებში ცხოვრების დადებითი ეფექტი ჯანმრთელობაზე. ახალი სტანდარტების დანერგვას ასევე შეუძლია ახალი ინდუსტრიების განვითარება და ბათუმის მოსახლეობისთვის დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა (იხ. CB01 ამ ქმედების დეტალებისა და მისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების შესახებ).
	ვადები	2020 (ერთ წელიწადზე ნაკლები)
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> ელექტროენერჯის მოხმარება შენობებში გათბობის/გაგრილების სისტემებით გამოწვეული მოხმარება შენობებში პროექტების რაოდენობა მწვანე შენობების სერტიფიცირებისას 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: NA OPEX: 15,000-16,000 ლ დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის ზრდა
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	დიახ
	CO2 დანახოვები	NA


ES02: მუნიციპალურ შენობებში მცირე სიმძლავრის განახლებადი ენერჯის სისტემებში ინვესტირება		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES2 განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია	
აღწერა რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმი დაისახავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიზნობრივ მაჩვენებლებს შენობებში განახლებადი ენერჯის გამომუშავებისთვის მუნიციპალურ ტერიტორიებზე. ქალაქი ბათუმი განსაზღვრავს ვადებს და დასახული მიზნების მისაღწევად ინვესტიციებს განახორციელებს. ბათუმმა უნდა განიხილოს მუნიციპალური შენობების სახურავებზე მზის ენერჯის დახმარებით ენერჯის გამომუშავება, მზის ენერჯის გამოყენება ტერასებზე და საჯარო პარკების მსგავს ინფრასტრუქტურებში, მზის თერმული ენერჯის სისტემები შენობებისთვის, საჯარო ტუალეტებსა და სპორტული დაწესებულებებისთვის.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველოსთვის სახსრების გამოყოფა პროექტის კაპიტალური ხარჯების დასაფარად. 2. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება შესაბამისი შენობების და ხარჯ-ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრად 3. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განხორციელების ვადების განსაზღვრა და პროექტების კონკრეტულ შენობებში განხორციელება 	
მიზეზი რატომ?	ბათუმის მუნიციპალიტეტს პირდაპირი კონტროლი გააჩნია მუნიციპალურ შენობებზე. მუნიციპალური განახლებადი ენერჯის სტრატეგიის შემუშავება მარტივი ნაბიჯია ბათუმის ერთიანი ენერჯის მოხმარების შესამცირებლად შენობებში (ESc2) და GHG ემისიების შემცირების მიზნების შესასრულებლად SEAP-ის ფარგლებში (GHGc4).	
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დანიტერესებული მხარეები	ენერჯო-პრო, მუნიციპალური დაწესებულებების მენეჯერები
	დაფინანსების წყაროები	IFI-ები, მუნიციპალიტეტი
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	მუნიციპალიტეტი გრძელვადიან დანაზოგებს ენერჯიაზე დახარჯული თანხების შემცირებიდან დააგროვებს. ნებისმიერი ჭარბი ენერჯია გაიყიდება და შემოსავალს მოიტანს.
	ვადები	2021-2025 (4 წელი)
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • წლიური CO₂ -ს ექვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე • წლიური CO₂ -ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე • ელექტროენერჯის მოხმარება შენობებში • გათბობის და გაგრილების მოხმარება საყოფაცხოვრებო შენობებში, წიაღისეული ენერჯის მოხმარება • გათბობისა და გაგრილებისთვის საჭირო ენერჯის მოხმარება საცხოვრებელ შენობებში, რომლებიც წიაღისეულ საწვავს იყენებს • გათბობისა და გაგრილებისთვის საჭირო ენერჯის მოხმარება არა-საცხოვრებელ შენობებში, რომლებიც წიაღისეულ საწვავს იყენებს • RES-დან გამომუშავებული ენერჯის წილი ქალაქის ენერჯის გამომუშავებაში ტერაჯოულოებში • წლიური CO₂ -ს ექვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე • წლიური CO₂ -ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე • ელექტროენერჯის მოხმარება შენობებში 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 5,914,400 - 8,871,600 ლ (მხოლოდ სახურავებზე დამონტაჟებული მზის პანელებს შემთხვევაში) OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - ეკონომიკის ზრდა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	667.07t CO ₂ e წელიწადში


ES03: ენერგოეფექტური სქემის დანერგვა მუნიციპალურ შენობებში		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური ეფექტიანობის გაუმჯობესება ES2 განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია	
აღწერა რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმი შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდაში ინვესტიციას განახორციელებს. გარდა ამისა, განახლდება 24 საბავშვო ბაღის შენობა. ასევე, დაიგეგმება მუნიციპალური ადმინისტრაციის შენობისა და ბათუმის ბიბლიოთეკის შენობის განახლება. ეს მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა ტექნოლოგიას, მათ შორის ენერგოეფექტურ განათებას, დათბუნებას, განახლებულ ფანჯრებსა და HVAC სისტემებს.	
მიზეზი: რატომ?	მუნიციპალურ მთავრობას საჯარო შენობებზე პირდაპირი გავლენა აქვს. მუნიციპალური ენერგოეფექტურობის სტრატეგიის განვითარება ბათუმის მუნიციპალიტეტის უშუალო დაქვემდებარებაშია. წამყვანი პოზიციის დემონსტრირების გარდა, ამას შეუძლია ხელი შეუწყოს ბათუმის პასუხისმგებლობას ენერჯის მოხმარების GHG ემისიების შემცირების მხრივ (GHGc2; GHGc4).	
განხორციელების ნაბიჯები	12. ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის ჩატარება შენობების პრიორიტეტიზებისთვის და ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად 13. შესაბამისი დაფინანსების გამოყოფა და ტენდერის ჩატარება იქ, სადაც შენობების განახლებისთვის კაპიტალური სამუშაოების ჩატარებაა საჭირო.	
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური
	დაინტერესებული მხარეები	ბათუმის მერია, მუნიციპალური მომსახურების განვითარების სააგენტო, გარე მიმწოდებლები
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი; საჯარო-კერძო პარტნიორობა; გრანტები
	შემოსავლის მიღების/დანაზოგის შესაძლებლობები	გრძელვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტი დაზოგავს თანხებს შენობების ენერგეტიკული დანახარჯების შემცირებით
	ვადები	2020-2025
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> წლიური CO₂ -ს ექვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე წლიური CO₂ -ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე ელექტროენერჯის მოხმარება შენობებში გათბობისა და გაგრილებისთვის საჭირო ენერჯის მოხმარება საცხოვრებელ შენობებში, რომლებიც წიაღისეულ საწვავს იყენებს გათბობისა და გაგრილებისთვის საჭირო ენერჯის მოხმარება არა-საცხოვრებელ შენობებში, რომლებიც წიაღისეულ საწვავს იყენებს 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 23,696,200 – 35,544,400 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დაიხ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის ზრდა, შემოსავლების/დანაზოგის მიღება
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO₂ დანაზოგები	NA


ES04: ყველა მუნიციპალური განათების (მაგ. ქუჩის ლამპიონების) LED ნათურებით ჩანაცვლებაში ინვესტირება	
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური ეფექტიანობის გაუმჯობესება


აღწერა <i>რა გაკეთდება?</i>	ქალაქი ბათუმი ინვესტიციას განახორციელებს პროგრამაში, რომელიც ქუჩის განათებაში დღეს არსებულ არაეფექტიან ვარვარა ნათურებს ჩანაცვლებს. ეს მოითხოვს ქუჩის არსებული განათების აღრიცხვას და ჩანაცვლების პრიორიტეტულ მიდამოებს. ინვესტიცია დადებითად იმოქმედებს ღამით ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოებაზეც.	
მიზეზი <i>რატომ?</i>	ბათუმის მუნიციპალიტეტს პირდაპირი წვდომა აქვს მუნიციპალურ საჯარო განათებაზე. ამ განათების წილი ხშირად მუნიციპალიტეტის ენერჯის გადასახადის 30%-ს უტოლდება (მწვანე ინვესტიციის ბანკი, 2014) (ESc2).	
განხორციელების ნაბიჯები	14. თანმდევი სარგებლის განსაზღვრა 15. დარჩენილი ადგილებისთვის ეტაპობრივი გეგმის შემუშავება	
ქმედების ტიპი	კაპიტალური პროექტი	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური
	დანიტერესებული მხარეები	ბათუმის ინფრასტრუქტურის კომისია
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი
	შემოსავლის მიღების/დანაზოგვის შესაძლებლობები	LED-ის ნათურები ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს და უფრო მეტი გამძლეობა აქვს, ვიდრე ვარვარა ნათურებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მოხმარება ნაკლებ ხარჯთანაა დაკავშირებული და შეცვლაც იშვიათადაა საჭირო.
	ვადები	2020+ (პროგრამის განვითარება ერთ წელს გაგრძელდება, ჩანაცვლება კი გაგრძელდება)
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • წლიური CO2 -ს ექვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე • წლიური CO2 -ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე. 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 11,962,400 – 17,943,600 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის ზრდა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	NA

ES05: პროგრამის შემუშავება, რომელიც ენერგოეფექტურ ნათურებს მოწყვლად მოსახლეობას დაბალ ფასებში ან უფასოდ მიაწვდის		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური ეფექტიანობის გაუმჯობესება	
აღწერა რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმში შეიმუშავებს პროგრამას მცირე გრანტებისა და სუბსიდიების სახით დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის ეფექტიანი ნათურების დასაყენებლად. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ეს ქმედება შუამავალი არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.	
მიზეზი რატომ?	ბათუმში მოხმარებული ენერგიის უდიდესი ნაწილი შენობებში მოიხმარება, ნაწილობრივ, საბჭოთა დროინდელი შენობების არაეფექტიანობიდან გამომდინარე (ESc1; ESc2). დაბალშემოსავლიანი ოჯახები ნაკლებ სავარაუდოა, რომ ძვირადღირებულ ენერგოეფექტურ ნათურებს შესწავდნენ, თუმცა, ენერგიის დაზოგვას შემოსავლებსა და ცხოვრების ხარისხზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების კუთხით.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. პარტნიორი NGO-ს პოვნა, ვინც განხორციელებაში მიიღებს მონაწილეობას 2. პროგრამაში მონაწილეობის უფლების მოთხოვნების განსაზღვრა 3. ვადების განსაზღვრა და გრძელვადიანი ბიუჯეტის მოთხოვნების განსაზღვრა სქემის ოპერირების დასაფინანსებლად 4. განხორციელებისთვის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გრანტის გამოყოფა 5. ეფექტური მარკეტინგისა და გავრცელების ხელშეწყობა 	
ქმედების ტიპი	პოლიტიკა	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	საინვესტიციო პოლიტიკისა და საგრანტო პროექტების მენეჯმენტის განყოფილება
	დაინტერესებული მხარეები	არასამთავრობო ორგანიზაციები; „ენერგო-პრო“
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი; დონორები/ქველმოქმედება
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	კონკრეტულ შენობებსა და მაცხოვრებლებს ექნებათ დაზოგვის შესაძლებლობები ელექტროენერგიის შემცირებული გადასახადების მეშვეობით.
	ვადები	2020+
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • წლიური CO2 -ს ეკვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე • წლიური CO2 - ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 66,000 ლ, დაახლოებით 3,000 სახლის LED ნათურებით უზრუნველსაყოფად OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის ზრდა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	დიახ - სოციალური კაპიტალი
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	31 tCO ₂ e წელიწადში

ES06: ადგილობრივ უნივერსიტეტებთან პარტნიორობით ადგილობრივი უნარ-ჩვევების განვითარება და ენერგოეფექტურობისა და მწვანე შენობების განვითარებადი ინდუსტრიის ხელშეწყობა		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური ეფექტიანობის გაუმჯობესება ES2: განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაცაა ქარის და მზის ენერჯია	
აღწერა რა გაკეთდება?	ახალი კანონი შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ შენობებისთვის ენერგოეფექტურობის უფრო მკაცრ სტანდარტებს აწესებს. ამგვარად, მნიშვნელოვანი მოთხოვნა გაჩნდება კვალიფიცირებულ მუშაკებზე, რომლებიც სამშენებლო კომპანიებსა და დეველოპერებთან ერთად ენერგოეფექტურ შენობებზე იმუშავებენ. ამჟამად ბათუმსა და აჭარაში ამ მხრივ კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა მაგალითად დიზაინერებისა და აუდიტორების მხრივ რათა მათ ხელი შეუწყონ ახალი, ენერგოეფექტური შენობების შექმნას (ESc4). ქალაქ ბათუმს შეუძლია წამოიწყოს თანამშრომლობა ადგილობრივ აკადემიურ ინსტიტუტებთან სხვადასხვა ინოვაციური მექანიზმის მხარდასაჭერად და ამ განვითარებადი ინდუსტრიის ხელშესაწყობად (მაგ. ენერგოეფექტურობის სტაჟირებები უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის, კურსის შინაარსის დაგეგმვისას კოლაბორაცია და ქალაქის ენერგოეფექტურობის „ცოცხალ ლაბორატორიად“ გამოყენება).	
მიზეზი რატომ?	ენერგოეფექტურობის განხრით ექსპერტიზა და ცოდნა საჭირო გახდება დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. უნარ-ჩვევებზე პროაქტიური ფოკუსის გარეშე ბათუმის ბიზნესებს მოუწევთ დაეყრდნონ სპეციალისტებს თბილისში და საზღვარგარეთ.	
განხორციელების ნაბიჯები	16. ბათუმის ინსტიტუციებში ინტერესისა და შესაძლებლობების განსაზღვრა 17. ფორმალური თანამშრომლობა დაინტერესებულ ინსტიტუტებთან და მხარდაჭერის ყველაზე ეფექტური მექანიზმების განსაზღვრა.	
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
	დაინტერესებული მხარეები	ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი, ადგილობრივი აკადემიური ინსტიტუტები
	დაფინანსების წყაროები	NA
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	ამ პროგრამას გააჩნია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის პოტენციალი ბათუმის მაცხოვრებლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებიდან გამომდინარე
	ვადები	2020 – 2022
გავლენის მაჩვენებლები	შენობების რაოდენობა, რომელთაც მწვანე შენობის სერტიფიკატი გააჩნიათ (NEW)	
მოსალოდნელი ხარჯი	დამოკიდებულია პარტნიორობის მექანიზმებსა და მომავალი დისკუსიების შედეგებზე	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ- ეკონომიკის ზრდა
	სოციალური ინკლუზია	დიახ - უნარების განვითარება
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	NA

ES07: მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამათბობლების დამონტაჟების სტიმულირება											
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	<ul style="list-style-type: none"> ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერგო და მატერიალური პროდუქტულობის გაუმჯობესება ES2: განახლებადი ენერჯიის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია 										
აღწერა რა გაკეთდება?	ნებართვის გაცემისას ქალაქი ბათუმი შეიმუშავებს სავალდებულო მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც ახალი მშენებლობები უნდა მოიცავდეს განახლებადი ენერჯიის წყაროების გამოყენებას ენერჯიის ადგილობრივი გამომუშავებისთვის და/ან წყლის გამათბობლებს, რომლებიც მზის ენერჯიაზე იმუშავებს.										
მიზეზი რატომ?	ბათუმში ენერჯია ძირითადად საცხოვრებელ სახლებში მოიხმარება და სწრაფმა მშენებლობამ გამანაწილებელ ქსელებზე წნეხი გაზარდა (ESc2). განახლებადი ენერჯიის ლოკალურად გამომუშავება ან/და მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამათბობლების ამოქმედება შეამცირებს ენერჯიის მიწოდების წნეხს და ხელს შეუწყოს GHG ემისიების შემცირების სამიზნე მაჩვენებლის განხორციელებას SEAP-ში.										
განხორციელების ნაბიჯები	<p>18. პოლიტიკის შემუშავება საუკეთესო გამოცდილების მიხედვით და გათვალისწინება მომავალი მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და კონტროლის დოკუმენტების ჩამოყალიბებისას</p> <p>19. მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად აღსრულების მექანიზმის შემუშავება</p>										
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია: პოლიტიკა										
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება	<ul style="list-style-type: none">  										
განხორციელების გეგმა	<table border="1"> <tr> <td>ქმედების შემსრულებელი</td> <td>მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი</td> </tr> <tr> <td>დაინტერესებული მხარეები</td> <td>SOCAR ; შპს "ბათუმის წყალი"; „ენერგო-პრო“, სამშენებლო კომპანიები</td> </tr> <tr> <td>დაფინანსების წყაროები</td> <td>NA</td> </tr> <tr> <td>შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები</td> <td>კორპუსები, რომლებიც საკუთარ ენერჯიას გამოიმუშავებენ ენერჯიის შესყიდვაზე თანხებს დაზოგავენ</td> </tr> <tr> <td>ვადები</td> <td>2020</td> </tr> </table>	ქმედების შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი	დაინტერესებული მხარეები	SOCAR ; შპს "ბათუმის წყალი"; „ენერგო-პრო“, სამშენებლო კომპანიები	დაფინანსების წყაროები	NA	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	კორპუსები, რომლებიც საკუთარ ენერჯიას გამოიმუშავებენ ენერჯიის შესყიდვაზე თანხებს დაზოგავენ	ვადები	2020
	ქმედების შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი									
	დაინტერესებული მხარეები	SOCAR ; შპს "ბათუმის წყალი"; „ენერგო-პრო“, სამშენებლო კომპანიები									
	დაფინანსების წყაროები	NA									
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	კორპუსები, რომლებიც საკუთარ ენერჯიას გამოიმუშავებენ ენერჯიის შესყიდვაზე თანხებს დაზოგავენ									
ვადები	2020										
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> წლიური CO₂ ეკვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე წლიური CO₂ ემისიები მშპ ერთეულზე 										
მოსალოდნელი ხარჯი	<p>CAPEX: NA</p> <p>OPEX: 1,000,698 ლ, თუ დამონტაჟდება 160 ერთეულისთვის</p> <p>დიზაინის / განვითარების ხარჯები: : 100,000 ლ შესაძლებლობების ანალიზისთვის</p>										
მოსალოდნელი სარგებელი	<table border="1"> <tr> <td>ეკონომიკური განვითარება</td> <td>დიახ- გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება</td> </tr> <tr> <td>სოციალური ინკლუზია</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>ჯანმრთელობის გაუმჯობესება</td> <td>არა</td> </tr> <tr> <td>CO₂ დანაზოგები</td> <td>არა, რადგან ითვალისწინებს მხოლოდ ეკონომიკურ-ტექნიკურ შევსებას</td> </tr> </table>	ეკონომიკური განვითარება	დიახ- გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება	სოციალური ინკლუზია	არა	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა	CO ₂ დანაზოგები	არა, რადგან ითვალისწინებს მხოლოდ ეკონომიკურ-ტექნიკურ შევსებას		
	ეკონომიკური განვითარება	დიახ- გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება									
	სოციალური ინკლუზია	არა									
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა									
CO ₂ დანაზოგები	არა, რადგან ითვალისწინებს მხოლოდ ეკონომიკურ-ტექნიკურ შევსებას										

ES08: ელექტროენერჯის სისტემის მდგრადობის მრავალმხრივი, გონივრული გეგმის შემუშავება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES3: ელექტრო ენერჯის ქსელების მედეგობის გაზრდა მიწოდების წნეხის და ბუნებრივი საფრთხეების მიმართ	
აღწერა რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმი „ენერჯო-პროსთან“ უფრო აქტიურ თანამშრომლობას დაიწყებს, რათა გაიზარდოს ქსელის მედეგობა და უკეთ შესესაბამებოდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს. საერთო ინტერესიდან გამომდინარე, ქალაქი ბათუმი იმუშავებს „ენერჯო-პროსთან“ და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მიწოდების ჯაჭვიდან, რომლებიც შეიმუშავებენ ელექტროენერჯის ქსელის მრავალმხრივ და გონივრულ გეგმას; გეგმა გაითვალისწინებს მიწოდების რისკებს და პროაქტიურ ქმედებებს ბუნებრივი კატასტროფებისგან თავდასაცავად.	
მიზეზი რატომ?	ბუნებრივი, კლიმატური და ადამიანის მიერ წარმოქმნილი რისკები საჭიროებს წინასწარ დაგეგმვას ელექტროენერჯის ქსელის მედეგობის კუთხით. ბათუმის ელექტროენერჯის მიწოდებაში ხშირია პერიოდული გათიშვები და არ არსებობს ქსელის მედეგობის რაიმე გეგმა მიუხედავად საქართველოში არსებული ისეთი საფრთხეებისა, როგორებიცაა შტორმი, სითბური ტალღები, წყალდიდობა და მოთხოვნის სწრაფი ზრდა (ESCS; Cc2). GCAP-ის ტექნიკურმა შეფასებამ გამოავლინა, რომ ბათუმის ელექტროენერჯის მიწოდების მედეგობის გეგმას აქვს გაუმჯობესება მნიშვნელოვანი პოტენციალი.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი „ენერჯო-პრო“-სთან და GSE-სთან პარტნიორობით 2. დეპარტამენტი მხარს დაუჭერს ამ დაწესებულებებს და შესაბამის რესურსებს შესთავაზებს გამძლეობის გეგმის განსახორციელებლად 	
ქმედების ტიპი	ადვოკატირება; გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გაგლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი ამ გეგმას აქტიურად დაუჭერს მხარს, თუმცა, მისი განხორციელება თვითმმართველი ქალაქის პასუხისმგებლობას სცდება. რეკომენდებულია, რომ გეგმის შემუშავებას ზედამხედველობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გაუწიოს.
	დაინტერესებული მხარეები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ცენტრალური ხელისუფლება, „ენერჯო-პრო“, საქართველოს სახელმწიფო ელექტროენერჯის სისტემა
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი; საჯარო-კერძო პარტნიორობა
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	ელექტროენერჯის ისეთი ქსელის ქონის შემთხვევაში, რომელიც სხვადასხვა შემთხვევებზე იქნება შემოწმებული, ქალაქი თავიდან აიცილებს პოტენციურ დანაკარგებს, რომლებიც შესაძლოა ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტამ გამოიწვიოს (ეს დანაკარგები ასოცირებულია მუნიციპალური სერვისების შეფერხებებთან, დაკარგულ სამუშაო საათებთან, შეკეთების ხარჯებთან და ა.შ.)
	ვადები	2021 – 2022
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატასტროფებისგან: წყალდიდობებისგან, მიწისძვრებისგან და ა.შ. მიყენებული ზარალის წილი მშპ-ში • რისკის ქვეშ მყოფი საჯარო ინფრასტრუქტურის პროცენტული მაჩვენებელი • რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: NA OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : 885,360 - 1,328,040 ლ	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ -არიდებული ზიანი, გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	NA

ES09: „ნეტო-აღრიცხვის სქემის“ პოპულარიზაციის ხელშეწყობა ცნობიერების ასამაღლებლად		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	ES2: განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯის ES3: ელექტრო ენერჯის ქსელების მედეგობის გაზრდა მიწოდების წნეხის და ბუნებრივი საფრთხეების მიმართ	
აღწერა რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმი „ენერჯო-პროსთან“ ერთად პოპულარიზაციას გაუწევს ეროვნული „ნეტო-აღრიცხვის სქემას“ რათა გავრცელდეს ინფორმაცია სქემის სარგებლისა და მასში მონაწილეობის წესების შესახებ.	
მიზეზი რატომ?	ცენტრალურმა მთავრობამ შეიმუშავა ნეტო-აღრიცხვის სქემა, რომლის მიხედვითაც ოჯახებს და მცირე ბიზნესებს შეუძლიათ მცირე მასშტაბით ელექტროენერჯია აწარმოონ, 100 კვტ. მდ სიმძლავრის განახლებად წყაროებზე მომუშავე მოწყობილობებიდან და ჭარბი ელექტროენერჯია გაყიდონ ქსელში შემოსავლის მიღების მიზნით. თუმცა, ამის პრეცედენტი ბათუმში საკმაოდ მცირეა, რაც ენერჯის ხარჯვის და GHG ემისიების შემცირებას უშლის ხელს (ESc2; GHGc4).	
განხორციელების ნაბიჯები	1. გამოკითხვის ჩატარება პროგრამასთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების დონის და აღქმების გასაგებად. ინფორმაციის გავრცელებისა და პოპულარიზაციის პროგრამის შემუშავება საინფორმაციო წერილების დაგზავნის, სოციალური მედიის კამპანიისა და სხვა საშუალებების დახმარებით. 2. ინფორმირების პროგრამის გავლენის მონიტორინგი და შესაბამისად შეცვლა	
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი
	დაინტერესებული მხარეები	„ენერჯო-პრო“
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური, სახელმწიფო.
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	საოჯახო მეურნეობები და მცირე ბიზნესები დანაზოგს მიიღებენ ელექტროენერჯის ადგილზე გამოიმუშავებითა და ჭარბი ელექტროენერჯის ქსელისთვის მიყიდვის მეშვეობით.
	ვადები	2020-2022
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> RES-დან გამოიმუშავებული მთლიანი ენერჯის შეფარდება ქალაქის ენერჯის ჯამურ მოხმარებასთან წლიური CO2 -ს ეკვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: NA OPEX: უმნიშვნელო დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - შემოსავლების გენერირება, გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა
	სოციალური ინკლუზია	დიახ - საბაზისო სერვისებთან წვდომა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	NA

ენერჯის ეფექტიანი და მდგრადი სისტემების ქმედების სარგებელი

სარგებლის კატეგორია	ინდიკატორი	შეფასება	ჯამური შეფასება
ეკონომიკური განვითარება	ეკონომიკური ზრდა	2	7
	სამუშაო ადგილების შექმნა	2	
	გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა	2	
	შემოსავლიანი ქმედებები	0	
	ზიანის თავიდან აცილებული ხარჯები	1	
სოციალური ინკლუზია	წვდომა ძირითად სერვისებზე	0	3
	უნარების განვითარება	2	
	სოციალური თანასწორობა	1	
	სოციალური ერთიანობის გაძლიერება	0	
ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - ცხოვრების უფრო აქტიური სტილი	0	1
	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - შემცირებული დაბინძურება	0	
	საცხოვრებლებისა და სამუშაო ადგილის უსაფრთხოება	1	

ეკონომიკური განვითარება

ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების გარდა, შემოთავაზებული ქმედებები ენერჯის მოწოდების დივერსიფიკაციას უწყობს ხელს, ქმნის შემოსავლის მიღების ახალ შესაძლებლობებს და ბათუმის მაცხოვრებლების უნარ-ჩვევებს ავითარებს.

სამუშაო ადგილების შექმნა

ქმედებებს აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას სხვადასხვა სექტორში და განავითაროს უნარ-ჩვევები ენერჯის მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში. კერძოდ, განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობის გაზრდა ადგილობრივი სამუშაო ადგილების შექმნას სხვა სექტორებზე მეტად უწყობს ხელს და ზრდის დასაქმების საჭიროებებს, განსაკუთრებით შენობების ენერგოეფექტურობის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. მსოფლიო ბანკის კვლევამ აჩვენა, რომ შენობების განახლების სამუშაოები ყოველ დახარჯულ მილიონ აშშ დოლარზე 16.7 სამუშაო ადგილს ქმნის, რომელთა უმეტესობაც სამშენებლო სექტორშია; მას მოსდევს წარმოებისა და ადმინისტრირების ან სხვა პროფესიული საქმიანობები. სამშენებლო სამუშაოები მკაცრად ადგილობრივ ხასიათს ატარებს და ბათუმის შემთხვევაში, ამ შეფასების მიხედვით, 1 მილიონ დახარჯულ ლარზე 13 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ინვესტიციები ქარისა და მზის ენერჯიაში დახარჯულ 2.9 მილიონ ლარზე 13 სამუშაო ადგილს ქმნის; ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ ხუთს უტოლდება. ამასთან, ეს ხუთი სამუშაო ადგილი ძირითადად წარმოებისა და მშენებლობის სფეროებშია.

ეკონომიკური ეფექტიანობა

ენერჯის მოხმარების შემცირება და შიდა, განახლებადი ენერჯის წარმოების გაზრდა ეკონომიკურ ეფექტიანობას ელექტროენერჯის მიწოდების შეჩერებით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილებით ზრდის. ამჟამად, ბათუმში საკმაოდ ხშირია ენერჯის მიწოდების მოკლე შეწყვეტები და ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება. ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა ტექნიკური უზრუნველყოფისა და შეკეთების ხარჯებს იწვევს, თუმცა, ასევე ამცირებს პროდუქტიულობის დონესა და ზოგადად, ბიზნეს აქტივობას.

გარდა ამისა, ენერგოეფექტური შენობები ამცირებს საჯარო და კერძო გადასახადებს ელექტროენერჯისთვის. მაგალითად LEED სერტიფიცირების მქონე შენობები აშშ-ში 25%-ით ნაკლებ ენერჯიასა და 11%-ით ნაკლებ წყალს საჭიროებს, ვიდრე სტანდარტული შენობები.⁵

ეკონომიკური ზრდა

ეს ქმედებები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას ენერგოეფექტური და მცირე ზომის განახლებადი ენერჯის წყაროების მოწყობილობებისთვის (მაგ. LED ნათურები, მზის პანელები, ჭკვიანი მრიცხველები, დათბუნება, ორმაგი შემიწვა) . ეს სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მიმწოდებლებს. გარდა ამისა, შენობების განახლებას შეუძლია უზენების გაუმჯობესება უძრავი ქონების ღირებულების ზრდითა და ზოგადად, საზოგადოებრივი გარემოს გაუმჯობესების საფუძველზე.

ზიანის თავიდან აცილებული ხარჯები

როგორც ერთიანი პაკეტი, ენერჯიასთან დაკავშირებულ შემოთავაზებულ ქმედებებს შეუძლია ზარალის იმ ხარჯების შემცირება, რომლებიც ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტასთან ან ქსელის ინფრასტრუქტურის ხარვეზებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ელექტროენერჯის მდგრადობის გონივრული გეგმის შემუშავებას შეუძლია ბუნების ან ადამიანის მიერ გამოწვეული ინციდენტების ან კატასტროფების წინასწარი განსაზღვრა, შესაბამისი მომზადება და შეკეთებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების შემცირება, მაშინ, როდესაც მიწოდების მხრივ ცვლილებებს (მაგ. LED ქუჩის განათებაზე გადასვლა) შეუძლია შეამციროს მოთხოვნის პიკით გამოწვეული ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევები.

სოციალური ინკლუზია

- იმ ზომების განხორციელება, რომლებიც აქა ჩამოთვლილი ასევე მოითხოვს გარე, პროფესიულ ექსპერტიზას, თუმცა, უმეტესად, წარმოადგენს შესაძლებლობას ახალი უნარებისა და სამუშაო ადგილებისთვის, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აუცილებლად შეუწყობს ხელს. უნარების გაუმჯობესების ამ პროცესს ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შემოთავაზებული პროგრამები.
- ენერჯის მოხმარების შემცირების ხელშეწყობით (და შესაბამისად გათბობასა და განათებაზე დახარჯული შემოსავლის პროპორციის შემცირებით) ზემოთხსენებულ ქმედებებს შეუძლია სიღარიბის შემცირება საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენებში, რაც სოციალურ თანასწორობასაც გააუმჯობესებს.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

მთლიანობაში, შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის საცხოვრებელ სახლებსა და სამუშაო ადგილებს უფრო კომფორტულს გახდის. ეს განსაკუთრებით ექსტრემალური ტემპერატურების, სითბური ტალღების და განსაკუთრებული სიცივის დროსაა აქტუალური.

⁵ მწვანე შენობების მსოფლიო საბჭო „მწვანე შენობების სარგებელი“, ხელმისაწვდომია: <https://www.worldgbc.org/benefits-green-buildings> [ინფორმაცია ამოღებულია 2019 წლის პირველ აგვისტოს]

3.4 მობილობის მდგრადი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

მობილობა ბათუმისა და მისი მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ქალაქმა ბათუმმა UNDP-ს მეშვეობით წამოიწყო „მწვანე ქალაქების“ პროექტი, რომლის მიხედვითაც ბათუმის ურბანული ტრანსპორტი უფრო მდგრადი უნდა გახდეს. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მობილობის **მდგრადი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების უზრუნველყოფა** დაინტერესებულმა მხარეებმა GCAP-ისთვის ერთ-ერთ წამყვან საკითხად დაასახელეს.

მე-2 ნაწილში იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ ქალაქმა ბათუმმა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები შეარჩია მობილობის მდგრადი და მრავალფეროვანი შესაძლებლობებისთვის:

ჩვენი სტრატეგიული ამოცანები	შესაბამისი გამოწვევები	მიზნები
T1 ტრანსპორტის აქტიური და საჯარო საშუალებების წილის გაზრდა	AQc1, AQc3, GHGc1, SQc4, LUc1, Tc3,	აქტიური და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილი უნა იყოს 50% 2025 წლამდე; 70% 2030 წლამდე
T2 უფრო მდგრად მუნიციპალურ და კერძო ტრანსპორტზე გადასვლა	AQc3, GHGc1, SQc4, LUc1, Tc1, Tc2	ელექტრო მანქანები კერძო ტრანსპორტის 5%-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო მუნიციპალური ავტობუსების 50%-ს
T3 სატრანსპორტო სისტემის მედეგობის გაზრდა	Cc1	2025 წლისათვის, ქსელის განვითარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მისაღებად გამოიყენება ჰკვიანი ტრანსპორტის სისტემა მთლიანი ქსელის 30%-სთვის მაინც; ხოლო 2030 წლამდე მთლიანი ქსელისთვის

სწავლა სხვა ქალაქების მაგალითებზე– ველოსიპედებით სეირნობა კვირაობით ბოგოტაში

კოლუმბია, ბოგოტა მსოფლიოში ველოსპორტითაა ცნობილი. ყოველ კვირას, ქალაქის ქუჩების 100 კმ-ზე მეტი იკეტება ავტომანქანებისთვის რათა ველოსიპედისტებმა და ფეხითმოსიარულეებმა თავისუფლად იმოძრაონ ღონისძიების ფარგლებში სახელად „სიკლოვია“. ეს ტრადიცია სათავეს 1974 წლიდან იღებს, როდესაც ორგანიზატორები მიხვდნენ, რომ ველოსპორტი ბევრ ადამიანს უყვარდა, თუმცა, მათ ჩვეულ საავტომობილო მოძრაობაში ველოსიპედის ტარების ეშინოდათ. მას შემდეგ „სიკლოვია“ გახდა საზოგადოების ურთიერთობის საშუალება, ახალი ველოსიპედისტების ვარჯიშის შესაძლებლობა და ყველასთვის ქალაქის მეგობრებთან ერთად აქტიურ და მშვიდ გარემოში გატარების დღე. გარდა ამისა, ველოსპორტის კულტურა კვირა დღეს სცდება - „სიკლოვია“ შეძლო აქტიური ტრანსპორტის ნორმალიზება და დაეხმარა კოლუმბიას ყველასთვის მოულოდნელად ველოსპორტისადმი ერთ-ერთი ყველაზე მეგობრული ერი გამხდარიყო. ბათუმმა უკვე გადადგა ნაბიჯები ველო - ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად, თუმცა, მას შეუძლია ისწავლოს „სიკლოვიას“ მოდელისგან რათა უკეთ განავითაროს ველო-კულტურა და მოქალაქეებმა შეძლონ თავი კომფორტულად იგრძნონ გზებზე და ავტომანქანების მძღოლები მათ მეტი ყურადღებითა და პატივისცემით მოეკიდონ.




მწვანე ქალაქის ქმედებები მდგრადი მობილობისათვის ქვემოთაა შეჯამებული. თითოეული ქმედების სავარაუდო ხარჯი და სარგებელი ცხრილშია გადმოცემული.


*შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ UNDP-ს პროექტი ბათუმისა და აჭარის რეგიონის მდგრადი ტრანსპორტის შესახებ მობილობას უფრო დეტალურად განიხილავს, ვიდრე GCAP. ის რეკომენდაციას უწევს ბათუმისთვის რამდენიმე პროექტს, რომლებიც ამ ნაწილშია აღწერილი და შესაბამისობაშია GCAP-ის ამოცანებსა და გამოწვევების პრიორიტეტებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში პროექტები UNDP-ს რეკომენდაციებს ეყრდნობა, თუმცა, GCAP-ს მიზანს არ წარმოადგენს UNDP-ს პროექტების დამკვეთებისა თუ მონაცემების დადასტურება.





ცხრილი 8 მწვანე ქალაქის ქმედებები მდგრადი მობილობისათვის


ს/კ	შესაბამისი სტრატეგიული ამოცანა	ქმედება	ტიპი	მოსალოდნელი ხარჯები			ვადები
				CAPEX	OPEX	დიზაინის / განვითარების ხარჯები:	
T01	T1	ქვეყნის შემცველი პროგრამების შექმნა და დანერგვა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებრივი და აქტიური ტრანსპორტის მიმართ აღქმის შეცვლაზე	ქვეყნითი	-	179,300 – 269,000	-	2020 – 2023
T02	T1, T2	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების ოპტიმიზაცია, მუნიციპალური ავტობუსების და სამარშრუტო ტაქსების ჩათვლით	ქვეყნითი	მთლიანი ხარჯი ბათუმი SUMP -ში წარმოდგენილია, როგორც 2,170,000 – 13,640,000 ლ			2021 – 2025
T03	T1, T2	ინვესტიციის გაზრდა რათა გაიზარდოს მუნიციპალურ ტრანსპორტში ენერგოეფექტური და ნაკლებ დამაბინძურებელი ტრანსპორტის წილი	გეგმა/სტრატეგია	125,317,500 ლ	-	-	2020 – 2025
T04	T1	ინვესტიციის გაზრდა ავტობუსების ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის	კაპიტალური პროექტი	2,374,000 – 5,964,900 ლ	-	-	2020 – 2023
T05	T2	უფასო პარკინგი ელექტრო მანქანებისთვის	კაპიტალური პროექტი; გეგმა/სტრატეგია	12,100 – 41,000 ლ	800 – 1,100 ლ	-	2020 – 2022
T06	T2	ელექტრო მანქანების ინფრასტრუქტურაში დამატებითი ინვესტირება	Policy	957,000 – 1,435,000 ლ	-	-	2020 – 2025
T07	T2	ელექტრო ტაქსო პარკის შექმნა	კაპიტალური პროექტი	15,790,000 – 19,140,000 ლ	-	-	2020 – 2023
T08	T1	საპილოტედ ბათუმის ძველი ქალაქის ნაწილის ფეხით	კაპიტალური პროექტი	227,800- 345,000 ლ	45,500-69,000 ლ	-	2020 – 2021

		მოსიარულეთათვის გამოყოფა შაბათ-კვირებით					
T09	T1	სანაპიროზე ბორნების მომსახურების დანერგვის შესაძლებლობის შესწავლა	გეგმა/სტრატეგია	-	-	75,000 – 150,000 ლ – მხოლოდ შესაძლებლობების ანალიზი	2021
T10	T1	ბათუმიველოს სისტემის განახლება	კაპიტალური პროექტი	NA – ქალაქი ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებებს პოტენციურ კონტრაქტორებთან			2020 – 2023
T11	T1	ფეხით მოსიარულეთა გზის და ველო ბილიკების გათვალისწინება ახალი გზების დაგების დაგეგმვის პროცესში და ახალ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება	კაპიტალური პროექტი	LU01 ქმედება მოიცავს ამ ქმედებას			2020 – 2023
T12	T1	გუგლის ტრანზიტი (google transit) პარტნიორობის პროგრამაში მონაწილეობა	კაპიტალური პროექტი	უმნიშვნელო	უმნიშვნელო	უმნიშვნელო	2020
T13	T3	სატრანსპორტო ქსელის მედეგობის გეგმის შემუშავება და პერიოდული ტესტირებების ჩატარება	პოლიტიკა	-	-	285,000 - 430,000 ლ	2020 – 2022
T14	T1	პარკირების საათობრივი გადახდის წესის შემოღება	პოლიტიკა	იხ ბათუმი SUMP-ის ანალიზი			2020 - 2022


T01: საჯარო და აქტიური ტრანსპორტის შესახებ აღქმის შეცვლა ქვეყნის შემცველი პროგრამის შემუშავებითა და განხორციელებით		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	T1: აქტიური და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილის გაზრდა	
	სოციალური თანასწორობა	1	
	სოციალური ერთიანობის გაძლიერება	1	
ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - ცხოვრების უფრო აქტიური სტილი	2	4
	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - შემცირებული დაბინძურება	2	
	სამუშაო ადგილის უსაფრთხოება	0	

ეკონომიკური განვითარების სარგებელი

ურბანული მობილობის ქსელი, რომელიც ტრანზიტის რამდენიმე საშუალებასა და ფეხითმოსიარულეების კომფორტს პრიორიტეტად მიიჩნევს, აუმჯობესებს საზოგადოებრივ გარემოს და ამცირებს ეკოლოგიურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უარყოფით გავლენას.

სამუშაო ადგილების შექმნა

ინვესტიციების მასშტაბი ამ პაკეტის შემთხვევაში ხელს შეუწყობს საკმაო რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას. მათ შორის:

- პროფესიული და ტექნიკური საქმიანობა კამპანიის შემუშავებისათვის, პოლიტიკებისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის.
- დასაქმება მშენებლობაში, ინჟინერიაში და წარმოებაში, რაც მძიმე ინფრასტრუქტურისთვისა საჭირო. მაგალითად, ავტობუსის ზოლები, ახალი ავტობუსები და EV ინფრასტრუქტურა.
- გრძელვადიანი სამუშაო ადგილები საზღვაო ტაქსებისა და ახალი ავტობუსებისათვის, ინსპექციების ჩასატარებლად და EV ინფრასტრუქტურის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

ეკონომიკური ეფექტიანობა

ტრანსპორტი ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. საგზაო შეფერხებები გავლენას ახდენს როგორც ბიზნესებზე, ასევე ინდივიდებზე, იქნება ეს გაუქმებული გზაჯინალები, პროდუქტიული დროის დანაკარგები თუ ადამიანებისთვის დასვენებისა და სხვა სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობების შემცირება. მდგრადი და მრავალფეროვანი მობილობისაკენ სწრაფით ბათუმში შემცირდება საგზაო შეფერხებები. სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების ახალი ნაკადი გააუმჯობესებს სისტემის სანდობას, ცნობადობას და ინტერაქციას ტრანსპორტის სხვა საშუალებებთან. საბოლოო ჯამში კი ეს გამოიწვევს მთელი ქალაქის სისტემის ეფექტიანობის ზრდას.

ეკონომიკური ზრდა

ბათუმის გეგმა ქალაქის ძველი ნაწილის საფეხმავლოდ გადაკეთების შესახებ გაზრდის უძრავი ქონების ღირებულებას⁶ მიმდებარე ტერიტორიაზე და ამავდროულად, მთლიანობაში გააუმჯობესებს საჯარო სივრცეებს ბათუმის ისტორიულ ნაწილებში.

შემოსავლიანი აქტივობები

⁶ European Platform on Sustainable Urban Mobility Plans (2016) The economic benefits of sustainable urban mobility measures – Independent review of evidence. ხელმისაწვდომია: https://www.eltis.org/sites/default/files/report_summary_reviews_of_measures.pdf [ამოღებულია 2019 წლის 1-ელ აგვისტოს]

შემოთავაზებული ქმედებები ქალაქისთვის შემოსავალს სხვადასხვა წყაროდან მოიტანს, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბილეთების უკეთესი გაყიდვიდან და საწვავის რეგულაციებთან შეუსაბამობის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმებიდან. შემოსავლის სხვა პოტენციური წყაროები მოიცავს ბილეთების და ლიცენზიების საფასურს საზღვაო ტაქსის სერვისის შემთხვევაში ან ელექტრო ავტომობილების დატენვის წერტილებში იჯარის გადასახადებს.

ზიანის თავიდან აცილებული ხარჯები

სატრანსპორტო ზიანი ძირითადად გამოწვეულია CO₂ - ის ემისიებისგან, რაც საგრძნობია, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასევე აღსანიშნავია, ჰაერის დაბინძურება, რომელიც უფრო ადგილობრივ ხასიათს ატარებს. ჰაერის დაბინძურებას შეიძლება ჰქონდეს ზიანს მომტანი შედეგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის, რაც გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობის, ხარისხისა და პროდუქტიულობის განმსაზღვრელ ფაქტორზე (მაგ. მუშების დაქვეითებული ჯანმრთელობა); სამშენებლო გარემო (მაგ. მასალების ზიანი და მშენებლობით გამოწვეული დაბინძურება); ეკოსისტემები (მაგ. მოსავლის შემცირება). გაერთიანებულ სამეფოში ზიანის ხარჯმა, შეფასების მიხედვით (£ ერთ ტონაზე) ჰაერის დაბინძურების გავლენა დაახლოებით შემდეგნაირია: 22,873 ლარი NO_x-თვის, 23,131 ლარი SO₂ - თვის, 6,000 ლარი NH₃ - თვის, 105,840 ლარი PM_{2.5}- თვის.⁷

სოციალური ინკლუზია

მობილობის შემოთავაზებულ ქმედებებს შეუძლია სოციალური თანასწორობის გაუმჯობესება, რადგან იზრდება არა-მობილური მგზავრობის წილი და მას ანაცვლებს უფრო სუფთა და უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა, რაც გამოიწვევს **სოციალურ თანასწორობას** სხვადასხვა გენდერის, კლასისა და უზნის წარმომადგენლებისათვის მომსახურებებზე, დასაქმებისა და დასვენების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, კერძო ავტომანქანების მოძრაობის შემცირება **აძლიერებს საზოგადოების სოციალურ ერთიანობას**, რადგან მას შეუძლია ზოგადი გარემოს გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა ურბანულ ზონებში, სადაც ადამიანებს შეეძლება მოაწყონ ქუჩის წვეულებები. რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გაააქტიურებს ურთიერთობას, მითუფრო გაიზრდება საზოგადოების სოციალური ერთიანობის შესაძლებლობებიც.

ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება

არამობილური მგზავრობის წახალისება ხელს უწყობს ცხოვრების აქტიურ სტილს. ფიზიკური აქტივობა ასოცირდება ჯანმრთელობის მდგომარეობის მრავალმხრივ გაუმჯობესებასთან, კეთილდღეობასთან, სიკვდილიანობის შემცირებასთან და გულის პრობლემებისა და დეპრესიის შემცირებულ რისკებთან. მართლაც, ფიზიკური აქტივობის მცირედად გაზრდაც კი ყველაზე ნაკლებად აქტიური ადამიანებისათვის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას იწვევს,⁸ მათ შორის, მცირდება დემენციის, დეპრესიის, კიბოსა და გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკი 20-30%-ით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ფილტვის კიბოსგან დაავადებისა და სიკვდილიანობის 29% ჰაერის დაბინძურებით არის გამოწვეული; ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებებისგან სიკვდილიანობის 43%, ხოლო ინსულტით სიკვდილის შემთხვევების 24%.⁹ ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ხარჯები ქვემოთაა შეჯამებული:¹⁰

- ქრონიკული სიკვდილიანობა (სიცოცხლის დაკარგული წლების რაოდენობა, რომლებიც ჰაერის დაბინძურებითაა გამოწვეული): 157,643 ლარი
- რესპირატორული პრობლემის გამო ჰოსპიტალიზაცია (8 დღიანი დარჩენის შემთხვევაში): 30,571 ლარი

⁷ DEFRA (2019) Air quality damage cost update. ხელმისაწვდომია: https://uk-air.defra.gov.uk/assets/documents/reports/cat09/1902271109_Damage_cost_update_2018_FINAL_Issue_2_publication.pdf [ამოღებულია 2019 წლის 17 ივლისს].

⁸ Department of Health (2011) Start active, stay active – A report on physical activity from the four home countries' Chief Medical Officers. ხელმისაწვდომია: https://www.sportengland.org/media/2928/dh_128210.pdf [ამოღებულია 2019 წლის 25 ივლისს].

⁹ WHO. (n.d.) 'Ambient air pollution: Health Impacts.' ხელმისაწვდომია: <https://www.who.int/airpollution/ambient/health-impacts/en/> [ამოღებულია 2019 წლის 1-ელ აგვისტოს].

¹⁰ Department of Health (2011) Start active, stay active – A report on physical activity from the four home countries' Chief Medical Officers. ხე: https://www.sportengland.org/media/2928/dh_128210.pdf [ამოღებულია 2019 წლის 25 ივლისს]

Error! Unknown document property name.

ERROR! UNKNOWN DOCUMENT PROPERTY
NAME.

Error! Unknown document property name.

**Error! Unknown document
property name.**Error! Unknown
document property name.
Error! Unknown document property name.

- გულისხმობს პრობლემის გამო კოსპიტალიზაცია (9 დღიანი დარჩენის შემთხვევაში): 31,309 ლარი
- სიცოცხლის ხანძლიობა სიცოცხლის ხარისხის გათვალისწინებით 231,324 ლარი

3.5 წყლის ციკლის ინტეგრირებული მენეჯმენტი

უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით ინვესტიციებმა ბათუმში წყლის ციკლის მენეჯმენტის გაუმჯობესება გამოიწვია, თუმცა, ქალაქი ბათუმი მიიჩნევს, რომ მისი წყლის ციკლის ინტეგრირებული მენეჯმენტის გაუმჯობესება კიდევ შესაძლებელია, რათა ის უფრო გავრცელებული და ეფექტიანი გახდეს.

მე-2 ნაწილში იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ ქალაქმა ბათუმმა შეარჩია შემდეგი სტრატეგიული ამოცანები წყლის ციკლის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად:

ჩვენი სტრატეგიული ამოცანები	დაკავშირებული გამოწვევები	მიზნები
W1 ონკანის წყლის მიწოდებისა და აუთვისებელ და რთულად მისაღწეომ ზონებში საკანალიზაციო სისტემების მოდერნიზებისა და გაფართოების გაგრძელება	Wc1, Wc2	საკანალიზაციო ქსელი: 2025 წლამდე, ქალაქის 70% იქნება დაფარული თანამედროვე საკანალიზაციო სისტემით. 2030 წლამდე ეს რიცხვი 90%-ს მიაღწევს. ონკანის წყლის ქსელი: - ახალი ტერიტორიების 80%-ზე მოდერნიზებული სერვისის მიწოდება 2025 წლამდე; 100%-ით დაფარვა 2030 წლამდე წყლის დანაკარგის 25 %-მდე შემცირება 2030 წლისთვის
W2 ბათუმის სანაპირო აქტივების და ეკოსისტემის დაცვა ამინდის მძიმე პირობებისა და მშენებლობების წნეხისგან	Wc3, Luc2	რისკის ქვეშ მყოფი სანაპირო აქტივების 50%-ით შემცირება
W3 წყლის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა მაცხოვრებლებისა და კომერციული მომხმარებლების მიერ	Wc4, Esc1, Esc3, Ic4	წყლის ეფექტიანობა ასევე გათვალისწინებულია მშენებლობის ნებართვებში
W4 სადრენაჟო სისტემისა და წყალდიდობისადმი მდგრადობის გაუმჯობესება ინტეგრირებული მიდგომებით	Wc3, Luc2, Luc3, Bc4	ურბანული წყალ-სენსიტიური დიზაინის პრინციპები ინტეგრირებულია ურბანულ დაგეგმვასთან და სამშენებლო ნებართვებთან წყალდიდობის შემთხვევისას ინციდენტების მინიმიზაცია

სწავლა სხვა ქალაქების მაგალითზე – იტალიის სანაპიროს ეროზია მარკეში, იტალიაში


2005 წელს მარკეს რეგიონში იტალიამ სანაპირო არეალის მენეჯმენტის გეგმა შეადგინა. გეგმის მიხედვით, 2009-2011 წლებში სიროლოს და ნუმანას მუნიციპალიტეტებმა გაიარა ხრეშისა და სხვა მცირე ქვეებით განახლების პროცესი. ამას მოჰყვა კლდის სტაბილიზაცია და ხელოვნური რიფის მოხსნა. სანაპირო ზაზის შენარჩუნების გარდა ეს ქმედებები მიმართული იყო ადგილობრივი დასახლებების, ტურიზმისა და ინდუსტრიის სასარგებლოდ. ბათუმმა მსგავსი პროცედურები სანაპიროზე ადღიაში ჩაატარა და შესაძლოა შემდგომი განვითარებაც.




ქვემოთ მოცემულია მწვანე ქალაქის მოქმედებები წყლის ინტეგრირებული მენეჯმენტისთვის. თითოეული ქმედების დეტალური აღწერა, სავარაუდო ხარჯებისა და სარგებლის ჩათვლით, ცხრილშია წარმოდგენილი.


ცხრილი 9 მწვანე ქალაქის ქმედებები წყლის ინტეგრირებული მენეჯმენტისთვის

ს/კ	შესაბამისი სტრატეგიული ამოცანა	ქმედება	ტიპი	მოსალოდნელი ხარჯები			
				CAPEX	OPE X	დიზაინის/განვითარების ხარჯები	ვადები
W0 1	W1	ინვესტიციები წყალმომარაგების მოდერნიზებისთვის ბათუმის ისეთ ზონებში სადაც ამჟამად ეს სერვისი არ არის სათანადოდ განვითარებული	კაპიტალური პროექტი	30,062,600 - 5,093,800 ლ	-	-	დასაზუსტებელია
W0 2	W1	ბათუმში რთულად მისადგომ ტერიტორიებზე წყალმომარაგების მოდერნიზებისთვის საჭირო ინვესტიციები	კაპიტალური პროექტი	64,080,700 - 96,121,800 ლ	-	-	2020 -2025
W0 3	W1	წყალარინების ქსელის გაუმჯობესების ხელშეწყობა კერძო საკუთრების გათვალისწინებით.	გეგმა/სტრატეგია	8,670,800 - 13,006,200 ლ	-	-	2020 -2021
W0 4	W2	ახალი აღჭურვილობის შექმნა სანიაღვრე წყლების დაბინძურების გამოსავლენად	კაპიტალური პროექტი	149,600 - 224,400 ლ	-	-	2020 - 2022
W0 5	W4	წყლის მიმართ სენსიტიური ურბანული დიზაინისა (WSUD) და მდგრადი სადრენაჟო სისტემის (SuDS) პრინციპების ინტეგრირება ურბანულ დაგეგმარებასა და მშენებლობის ნებართვებში	გეგმა/სტრატეგია	-	-	-	2020 - 2023
W0 6	W2	ბათუმის სანაპირო ზოლის ეკოსისტემის დაცვისა და მოვლის უზრუნველყოფა	კაპიტალური პროექტი	48,209,000 - 72,313,500 ლ	-	-	2020+
W0 7	W3	წყლის წნევის მარეგულირებელი სისტემის გათვალისწინება სამშენებლო ნებართვების გაცემისას; საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ჩათვლით	პოლიტიკა	-	-	-	2020 - 2023



W01: ინვესტიციები წყალმომარაგების მოდერნიზებისთვის ბათუმის ისეთ ზონებში სადაც ამჟამად ეს სერვისი არ არის სათანადოდ განვითარებული		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W1: ონკანის წყლისა და ნარჩენი წყლების სისტემების გადართობა და მოდერნიზების გაგრძელება ბათუმის აუთვისებელ ან რთულად მისაღწეად ადგილებში	
აღწერა – რა გავლენა?	მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა ბათუმში წყალმომარაგების ქსელის მოდერნიზაციის მიმართულებით. ამასთან, არის სფეროები, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას. ბათუმში გეგმავს სასმელი წყლის ქსელის გაფართოებას და შემდგომ რეაბილიტაციას, რათა შესაძლებელი გახდეს ქალაქის მასშტაბით არაკომერციული წყლის მიღების 30% დონის მიღწევა.	
მიზეზი – რატომ?	ბათუმი წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას 2007 წლიდან ახორციელებს. ეს პროექტი მიმართულია მოდერნიზაციის პროცესის გაფართოებისა და არაკომერციული წყლის დანაკარგების შემცირებისკენ, რაც შედეგად წყლის ეფექტიანობას გაზრდის (Wc1).	
განსახორციელებელი ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> იმ არეალის შესწავლა, რომლებიც ინვესტიციებს საჭიროებს პროექტის ტენდერზე გატანა მშენებლობისათვის ბიუჯეტის გამოყოფა მიმდინარე ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. 	
ქმედების ტიპი	კაპიტალური პროექტი	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაინტერესებული მხარეები	შპს „ბათუმის წყალი“
	დაფინანსების წყაროები	IFI-ები
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	არაკომერციული წყლის დანაკარგების შემცირების საფუძველზე შესაძლებელი იქნება თანხების დაზოგვა
	ვადები	დასაზუსტებელია
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> არაკომერციული წყალი (ძველი ქსელი) არაკომერციული წყალი (ახალი ქსელი) ყოველ ოჯახში ყოველდღიური უწყვეტი წყალმომარაგების საათების რაოდენობის საშუალო წლიური მაჩვენებელი 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 30,062,600 - 45,093,800 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	დიახ - საბაზისო სერვისებთან წვდომა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	დიახ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა
	CO2 დანაზოგები	NA

W02: ბათუმში რთულად მისადგომ ტერიტორიებზე წყალმომარაგების მოდერნიზებისთვის საჭირო ინვესტიციები		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W1: ონკანის წყლისა და ჩამდინარე წყლების სისტემების გადართობა და მოდერნიზების გაგრძელება ბათუმის აუთვისებელ ან რთულად მისადგომ ადგილებში	
აღწერა რა გაკეთდება?	KfW-ს მიერ დათვლილი, მოსახლეობის დარჩენილი 9%-თვის წყალარინების ქსელის გაფართოების ხარჯები ერთ სულზე; მათ შორის, დაეგმილი პროექტით, მეჯინისწყლის გასწვრივ.	
მიზეზი რატომ?	გარემოს დაცვა და მოსახლეობის ჯანმრთელობა ნაწილობრივ განისაზღვრება წყალარინების ფუნქციონალური ქსელების არსებობით. ამ ქსელების გაფართოების უზრუნველყოფა შეამცირებს ნარჩენების შედგენას ნიადაგსა და წყალში, შესაბამისად შეამცირებს ადამიანის ან ეკოსისტემის დაბინძურების რისკებს (Wc2).	
განხორციელების ნაბიჯები	30. იმ არეალის შესწავლა, რომლებიც ინვესტიციებს საჭიროებს 31. პროექტის ტენდერზე გატანა მშენებლობისათვის 32. ბიუჯეტის გამოყოფა მიმდინარე ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.	
ქმედების ტიპი	კაპიტალური პროექტი	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაინტერესებული მხარეები	შპს „ბათუმის წყალი“
	დაფინანსების წყაროები	IFI-ები, მუნიციპალური
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	
	ვადები	2020+ (გრძელვადიანი)
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> ყოველ ოჯახში ყოველდღიური უწყვეტი წყალმომარაგების საათების რაოდენობის საშუალო წლიური მაჩვენებელი 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 64,080,700 - 96,121,800 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	დიახ - საბაზისო სერვისებთან წვდომა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	დიახ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა- შემცირებული დაბინძურება
	CO2 დანაზოგები	NA


W03: წყალარინების ქსელის გაუმჯობესების ხელშეწყობა კერძო საკუთრების გათვალისწინებით.	
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W1: ონკანის წყლისა და წყალარინების სისტემების გაფართოება და მოდერნიზების გაგრძელება ბათუმის აუთვისებელ ან რთულად მისადგომ ადგილებში
აღწერა რა გაკეთდება?	ბათუმში უკვე მიმდინარეობს წყლის ქსელების განახლების პროცესი. ამ პროექტის ფარგლებში, ქალაქი დამატებით ძალისხმევას გასწევს კერძო საკუთრებასა და ცენტრალურ ქსელს შორის დაკარგული და გაუმართავი კავშირების გასაუმჯობესებლად. ეს მოითხოვს მასალების შესყიდვას და კერძო მესაკუთრებისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევას.
მიზეზი რატომ?	KfW-ს მნიშვნელოვანი სახსრები გამოჰყო ბათუმის რაიონებში წყლისა და ჩამდინარე წყლების ქსელების რეაბილიტაციისა და გაფართოების მიზნით, ასევე მონაწილეობა მიიღო ჩამდინარე წყლების და წვიმის წყლის გადინების სისტემების განცალკევებაში. ეს სამუშაოები ძირითადად, ფოკუსირებულია მაგისტრალური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაზე სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ მიწებზე. ბათუმის გამოწვევად რჩება დაზიანებული კავშირები კერძო მიწებზე არსებულ ქსელსა და კერძო საკუთრებებს შორის (Wc1; Wc2).

განხორციელების ნაბიჯები	33. იმ არეალის შესწავლა, რომლებიც ინვესტიციებს საჭიროებს 34. პროექტის ტენდერზე გატანა მშენებლობისათვის 35. ბიუჯეტის გამოყოფა მიმდინარე ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.	
ქმედების ტიპი	კაპიტალური პროექტი	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაინტერესებული მხარეები	შპს „ბათუმის წყალი“
	დაფინანსების წყაროები	IFI-ები, მუნიციპალური
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	
	ვადები	2020 – 2023
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> საცხოვრებელი და კომერციული ჩამდინარე წყლების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც დამუშავებულია მოქმედი ეროვნული სტანდარტების შესაბამისად ენერჯის გამომუშავებასთან დაკავშირებული ჩამდინარე წყლების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც დამუშავებულია მოქმედი ეროვნული სტანდარტების შესაბამისად 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 8,670,800 - 13,006,200 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური საქმიანობა, შემოსავლების/დანაზოგის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	დიახ - საბაზისო სერვისებთან წვდომა, სოციალური კაპიტალი
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	დიახ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა- შემცირებული დაბინძურება
	CO2 დანაზოგები	NA


W04: სანიაღვრე წყლის დაბინძურების გამოსავლენად ახალი აღჭურვილობის შექმნა	
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W2: ბათუმის სანაპირო აქტივების და ეკოსისტემის დაცვა ბუნებრივი კატასტროფებისგან
აღწერა რა გაკეთდება?	წყლისა და გამდინარე წყლის სისტემების მენეჯმენტისთვის ქალაქ ბათუმის ძალიანხმევის ზრდის შესაბამისად განიხილება ავტომატური სენსორების შესყიდვა და დამონტაჟება სანიაღვრე წყლის დაბინძურების გამოსავლენად. სენსორების მეშვეობით შესაძლებელი გახდება დაუმუშავებელი გამდინარე წყლის არალეგალური გადაღვრის გამოვლენა ინდუსტრიული მომხმარებლების მიერ. ამასთან, გამდინარე წყლებისა და სანიაღვრე წყლების ჩადინების გამოვლენა მიმდინარეებსა და შავ ზღვაში.
მიზეზი რატომ?	არსებობს ცალკეული მტკიცებულებები სამრეწველო წყლის სანიაღვრე წყალში არალეგალურ ჩადვრასთან, ასევე მასთან დაკავშირებული დაუმუშავებელი საკანალიზაციო წყლის არხებსა და შავ ზღვაში ჩადვრასთან დაკავშირებით, (Wc1). შესაძლებელია ზედამიერულ სანიაღვრე წყლებში სხვადასხვა დამბინძურებლების (მაგალითად, ნიტროგენი და ნავთობპროდუქტები) დაგროვება საშიში კონცენტრაციებით. დაბინძურების აღმოჩენი აღჭურვილობა ხელს შეუწყობს იმ ნაბიჯებისა თუ ცვლილებების განსაზღვრას, რომლებიც სანიაღვრე წყლის დაბინძურების შესამცირებლად დაა საჭირო.
განხორციელების ნაბიჯები	დაბინძურების პოტენციური წყაროების გამოვლენა. სანიაღვრე წყლის მონიტორინგის აღჭურვილობის დამონტაჟება. სანიაღვრე წყლის დამუშავების გეგმის შემუშავება დაბინძურების შესამცირებლად.

W05: წყლის მიმართ სენსიტიური ურბანული დიზაინის (WSUD) და მდგრადი სადრენაჟო სისტემის (SuDS) პრინციპების ინტეგრირება ურბანულ დაგეგმარებასა და მშენებლობის ნებართვებში		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W4: სადრენაჟო სისტემისა და წყალდიდობისადმი მდგრადობის გაუმჯობესება ინტეგრირებული მიდგომებით	
აღწერა – რა გავლენაა?	WSUD და SuDS უფრო ეფექტურად აერთიანებს წყლის ციკლს ურბანულ დიზაინში. საერთო პრაქტიკაა „ბიორეტენიონი“ (bioretention) სისტემები, ინფილტრაციის თხრილები, აშენებული ჭაობიანი მიდამოები და ქვიშის ფილტრები, რომლებიც ავსებენ ან ცვლიან ასფალტსა და ბეტონს. ქალაქი ბათუმი SuDS-ს მიწათსარგებლობის ახალ გეგმაში გაითვალისწინებს და განსაზღვრავს შესაბამის ადგილებს სადემონსტრაციო პროექტებისთვის მუნიციპალიტეტის ახალი სამუშაოების ფარგლებში.	
მიზეზი– რატომ?	კლიმატის ცვლილება გამოიწვევს წყალდიდობების მატებას, შესაბამისად SuDS იქცევა წყლის ციკლის მართვის განუყოფელ ნაწილად (Wc3). თუმცა, SuDS წყალდიდობის მართვის მიღმა სხვა სარგებელიც მოაქვს. მათ შორისაა, წყლის დამაბინძურებლებისგან გაფილტვრა და ეკოსისტემის სიჯანსაღის გაუმჯობესება.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. დაგეგმვისა და მშენებლობის რეგულაციების WSUD და SuDS პრინციპების შესაბამისად განახლება 2. რეგულაციების პროცესებში ასახვა 3. შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფა აღსრულებაში მონაწილე პერსონალისთვის 	
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაინტერესებული მხარეები	ინდივიდუალური დეველოპერები
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	ქმედების შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაინტერესებული მხარეები	შპს „ბათუმის წყალი“
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქი თავიდან აიცილებს პოტენციურად დაბინძურებულ წყლისა და ნიადაგის გაწმენდით გამოწვეულ ხარჯებს, შესაძლებელი იქნება თანხების დაზოგვა. გარდა ამისა, ამასთან ასოცირებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სარგებელი.
	ვადები	2021
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • იმ წყლის ნიმუშების პოტენციური წლიური მაჩვენებელი, რომლებიც სასმელი წყლის ეროვნულ სტანდარტებს შეესაბამება • წყლებთან დაკავშირებული დაწესებულებების ინდიკატორები 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 149,600 - 224,400 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - შემოსავლების/დანაზოგვის გენერირება
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	დიახ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა- შემცირებული დაბინძურება
	CO2 დანაზოგები	NA

	დაფინანსების წყაროები	NA
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	დანაზოგების შესაძლებლობები ჩნდება წყალდიდობებისა და ჩამონადენი წყლების ზიანის თავიდან აცილებიდან
	ვადები	2020
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> ისეთი წყლის ნიმუშების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც დასაღვეი წყლის ეროვნულ სტანდარტებს შეესაბამება წყლებთან დაკავშირებული დაწესებულებების ინდიკატორები 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: NA OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, არიდებული ზიანი
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	NA

W06: ბათუმის სანაპიროს ეკოსისტემის დაცვისა და მოვლის უზრუნველყოფა		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W2: ბათუმის სანაპირო აქტივების და ეკოსისტემის დაცვა ამინდის მძიმე პირობებისა და განვითარების წნეხისგან	
აღწერა – რა გაკეთდება?	შტორმების მზარდი სიხშირე და სიმძლავრე ზღვის დონის მატებასთან ერთად ბათუმის სანაპირო ზოლის ეროზიის საშიშროებას ზრდის. ქალაქი ბათუმი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განახორციელებენ ინვესტიციას სანაპიროს განახლებისა და დაცვისთვის საჭირო ქმედებებისათვის ხელშესაწყობად. შესაძლებლობის შემთხვევაში, სანაპიროს დაცვისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბუნებრივ და არა ინჟინრულ მეთოდებს.	
მიზეზი – რატომ?	კლიმატის ცვლილებასა და მასთან დაკავშირებულ ზღვის დონის მატებასთან ერთად იმატებს სანაპიროს ეროზიის ტემპებიც. ასევე პრობლემატურია მდინარის ჩამონადენის აკუმულაცია ჭოროხსა და მის შენაკადებზე ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის გამო (Bc4; LUc2; WC3). საპასუხოდ, დაიწყო სანაპირო ზოლის განახლება ადლიას ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელ სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა, საჭიროა მუდმივი მიმდინარე ინვესტიცია ბათუმის სანაპირო ზოლის მთლიანობის, მასთან დაკავშირებული ეკოსისტემისა და ეკონომიკური სარგებლის შესანარჩუნებლად.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> ანალიზის გაკეთება და სანაპირო ეროზიის მაღალი რისკის ადგილების იდენტიფიცირება. პრიორიტეტიზაცია მოხდება ინფრასტრუქტურის მოწყვლადობის გათვალისწინებით კვლების შედეგებზე დაყრდნობით, სანაპიროს განახლებისა და მიმდინარე უზრუნველყოფის გეგმის შემუშავება 	
ქმედების ტიპი	კაპიტალური პროექტი	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამმართველო
	დაინტერესებული მხარეები	
	დაფინანსების წყაროები	დეველოპერები, სამშენებლო კომპანიები, გარემოცდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	სანაპიროს ეროზიის მართვის მეშვეობით დაზოგვა
	ვადები	2020+

გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • წლიური CO2 -ს ექვივალენტი ემისიები მოსახლეობის ერთ სულზე • წლიური CO2 - ს ემისიები მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ ერთეულზე • ბუნებრივი კატასტროფების (გვალვა, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზარალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში • რისკის ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის პროცენტული მაჩვენებელი • რისკის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი • სხვა სახეობების სიმრავლე • ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი წყალდიდობის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების პროცენტული მაჩვენებელი 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: 48,209,000 - 72,313,500 ლ OPEX: NA დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA	
მოსალოდნელი სარგებელი	ეკონომიკური განვითარება	დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, არიდებული ზიანი
	სოციალური ინკლუზია	არა
	ჯანმრთელობის გაუმჯობესება	არა
	CO2 დანაზოგები	NA

W07: წყლის წნევის მარეგულირებელი სისტემის გათვალისწინება სამშენებლო ნებართვების გაცემისას; საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ჩათვლით		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	W3: წყლის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა მაცხოვრებლებისა და კომერციული მომხმარებლების მიერ	
აღწერა – რა გაკეთდება?	წყლის წნევის მარეგულირებელი სისტემის გამოყენებას წყლის მოხმარების საგრძნობლად შემცირება შეუძლია. ეს პრაქტიკა ზოგიერთი დიდი სასტუმროს ახალ მშენებლობაში უკვე გამოიყენება, თუმცა ბათუმში ეს ფართოდ გავრცელებული არ არის და ერთ-ერთ სამშენებლო მოთხოვნას არ წარმოადგენს. საბოლოოდ ეს პრაქტიკა სავალდებულო მოთხოვნად იქცევა მომავალში სამშენებლო ნებართვის მიღებისას.	
მიზეზი– რატომ?	2015 წელს ჩატარებული ანალიზის მიხედვით, ბათუმში წყლის მოხმარების დონე ერთ სულ მოსახლეზე დღეში 400 ლიტრს აჭარბებს ¹¹ , რაც ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (დაახლოებით 100-150 ლ/დღეში) საგრძნობლად აღემატება. ბათუმში მშენებლობების პროცესის სავარაუდო გაგრძელებასთან ერთად წყლის წნევის მარეგულირებელი სისტემაზე მოთხოვნა საკმაოდ ეფექტური იქნება, კერძოდ კი ისეთ დაწესებულებებში, სადაც წყლის მოხმარება მაღალია (მაგალითად, სასტუმროებში) (Wc4; ES1).	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. დაგეგმარებისა და მშენებლობის კოდექსის განახლება წნევის მარეგულირებელი სისტემის გათვალისწინებით 2. ამ სიახლის გამოქვეყნება 3. რეგულაციის აღსრულებისთვის შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფა 	
ქმედების ტიპი	პოლიტიკა	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი, შპს "ბათუმის წყალი"
	დანიტერესებული მხარეები	დეველოპერი კომპანიები
	დაფინანსების წყაროები	NA
	შემოსავლის მიღების/დანაზოგის შესაძლებლობები	-
	ვადები	2020 – 2021

¹¹ მუნიციპალური წყლისა და გამდინარე წყლის სექტორი საქართველოში, მდგომარეობის ანგარიში (2015) მელუა NISPAcee-სა Slovak Aid-სთვის

<p>გავლენის მაჩვენებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> წყლის ექსპლუატაციის ინდექსი ერთ სულ მოსახლეზე წყლის მოხმარება წყლის მოხმარება ქალაქის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთეულზე იმ შენობების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ე.წ. „ნაცრისფერ წყალს“ იყენებენ არაინდუსტრიული აღჭურვილობის პირობებში 	
<p>მოსალოდნელი ხარჯი</p>	<p>დაფარულია LU01-ს ფარგლებში</p>	
<p>მოსალოდნელი სარგებელი</p>	<p>ეკონომიკური განვითარება</p>	<p>დიახ - გაზრდილი ეკონომიკური ეფექტიანობა, არიდებული ზიანი</p>
	<p>სოციალური ინკლუზია</p>	<p>არა</p>
	<p>ჯანმრთელობის გაუმჯობესება</p>	<p>არა</p>
	<p>CO2 დანაზოგები</p>	<p>1.52 tCO₂e</p>

წყლის ინტეგრირებული მენეჯმენტის ქმედებების სარგებელი

სარგებლის კატეგორია	ინდიკატორი	შეფასება	ჯამური შეფასება
ეკონომიკური განვითარება	ეკონომიკური ზრდა	1	6
	სამუშაო ადგილების შექმნა	2	
	ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა	1	
	შემოსავლიანი აქტივობები	0	
	ზიანის თავიდან აცილებული ხარჯები	2	
სოციალური ინკლუზია	წვდომა ძირითად სერვისებზე	2	4
	უნარ-ჩვევების განვითარება	0	
	სოციალური თანასწორობა	2	
	სოციალური ერთიანობის გაძლიერება	0	
ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - ცხოვრების უფრო აქტიური სტილი	0	2
	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა - შემცირებული დაბინძურება	2	
	სამუშაო ადგილის უსაფრთხოება	0	

გავლენა ეკონომიკური განვითარებაზე

ურბანული მობილობის ქსელები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს სხვადასხვაგვარ ტრანზიტისა და ფეხითმოსიარულეთა კომფორტის ამაღლებას, აუმჯობესებს საზოგადოებრივ გარემოს და ამცირებს გარემოსდაცვით უარყოფით გავლენას ჯანმრთელობაზე

1) ეკონომიკური ეფექტიანობა

ეს ქმედებები მიმართულია არაკომერციული წყლის დანაკარგების შემცირებაზე დაახლოებით 25%-ით და შესაბამისად ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდაზე. გარდა ამისა, წყლის წნევის მარეგულირებელი სისტემების დაყენების მსგავსი ქმედებები მიმართულია რესურსების მოხმარების ეფექტიანობის გაზრდისკენ, რაც მოსახლეობას ეხმარება წყლის გადასახადების დაზოგვაშიც.

2) ეკონომიკური ზრდა

წყლის სექტორის გაუმჯობესება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით, რომელიც სამომავლოდ გაზრდის როგორც ბათუმის მოსახლეობის, ისე ქალაქის ეკონომიკას. გარდა ამისა, მრავალი ქმედება მთავარი ეკონომიკურ კაპიტალის - სანაპიროს შენარჩუნებაზეა მიმართული. 2016 წელს აჭარის რეგიონს 871 000 ტურისტი ეწვია და ტურიზმი აჭარაში კერძო ინვესტიციების 32%-ს შეადგენს.¹²

3) ზიანის თავიდან აცილებული ხარჯები

უხვნალექიანი წყალდიდობისა და სანაპიროს ეროზიების მოგვარების შედეგად, ინტერვენციების პაკეტის მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილება ადამიანებისა და გარემოს მიმართ, რაც უკავშირდება სასწრაფო დახმარების სერვისებს, ჯანმრთელობაზე გავლენას (მათ შორის სიკვდილიანობას) და ჯანმრთელობის ხარჯებს; კერძო საკუთრების ან ინფრასტრუქტურის განადგურებას ან დაზიანებას, რაც შემდგომ შეკეთებას საჭიროებს ხოლმე; სამუშაო დღეების დანაკარგებს. თბილისის 2015 წლის წყალდიდობას 20 ადამიანი შეეწირა და ზარალი 40-დან 100 მილიონ ლარს შეადგენდა.

სოციალური ინკლუზია

¹² ინვესტიციები ბათუმში (2017), ფაქტები და რიცხვები

სასმელი წყლისა და ჩამდინარე წყლის გაუმჯობესებული სისტემა უფრო თანაბარ და ფართოდ გავრცელებულ წვდომას გულისხმობს ზოგადად წყლის სერვისებზე, რაც აუმჯობესებს სანიტარიას ქალაქში და სახლებში.

ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება

ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გაუმჯობესება და შტორმით დაზინძურების დროული აღმოჩენა ამცირებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებს. დაუმუშავებელ ჩამდინარე წყლებს სასმელი წყლის დაზინძურება შეუძლია, რაც მთელ რიგ დაავადებებსა და გარემოსდაცვით ზიანს იწვევს.

3.6 ჩვენი შესაძლებლობების გაძლიერება

GCAP-ის შესარულებლად და მომავალში ბათუმის, როგორც მწვანე ქალაქის სტატუსის შესანარჩუნებლად საჭიროა უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და პროცესების განვითარება. შესაძლებლობების გაძლიერებისთვის სხვადასხვა სტრატეგია არსებობს, მათ შორის ტრენინგი, ადამიანური რესურსების სტრატეგიული მოზიდვა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინსტიტუციური კოოპერაცია. წინა ნაწილებში აღწერილი რამდენიმე ქმედება მოიცავს შესაძლებლობების გაძლიერებს კომპონენტს გარემოსდაცვით გამოწვევებთან მიმართებაში; მაგალითად, ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად და ენერგოეფექტური/მწვანე შენობების ინდუსტრიის გასაფართოებლად. ამ ნაწილს ქმედებები სხვადასხვა სფეროების შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერებას გულისხმობს შემდეგ საკითხებში: ბათუმის მუნიციპალიტეტსა და მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ორგანიზაციები: უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და როლების განსაზღვრა, რომლებიც მწვანე ქალაქისთვისაა საჭირო გარე შესაძლებლობები: თანამშრომლობის ჩამოყალიბება შესაძლებლობების გაძლიერებისთვის სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ბათუმის მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ; მათ შორის კერძო სექტორის წარმომადგენლები.

სწავლა სხვა ქალაქების მაგალითებზე – კოპენჰაგენის მწვანე შესყიდვების პოლიტიკა

კოპენჰაგენის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად 400 მილიონ ევროს ხარჯავს საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც ცენტრალური შესყიდვების განყოფილება მართავს. 1998 წლის სექტემბერში შეიქმნა კოპენჰაგენის მწვანე შესყიდვების პოლიტიკა (მუნიციპალიტეტის გამგეობა) იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუნიციპალიტეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განიხილებოდა გარემოსდაცვითი მოთხოვნები, მათ შორის, შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ენერგოეფექტურობა და ხარჯების დაზოგვის საკითხები პოტენციურ სფეროებში. GPP-ის განხორციელების ხელშესაწყობად, შეიქმნა გარემოს დაცვის სპეციალისტების სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ამოცანების ჩამოყალიბება, გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის კომუნიკაცია და პროგრესის მონიტორინგი. ასევე გათვალისწინებული იყო ორდღიანი ტრენინგი პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს ეკოლოგიურად ცნობიერ აზროვნებას და იმ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც შეუძლია სწორი გადაწყვეტილების მიღება. ბათუმი მსგავს პოლიტიკას შემოიღებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის დონეზე შესყიდული საქონლისა და მომსახურებაში მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებას.

შესაძლებლობების გასაძლიერებლად საჭირო ქმედებები ქვემოთაა მოცემული. თითოეული ქმედების ხარჯები და სარგებელი ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 10 მწვანე ქალაქის ქმედებები შესაძლებლობების გასაძლიერებლად

ს/ვ	შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები	ქმედება	ტიპი	მოსალოდნელი ხარჯები			
				CAPEX	OPEX	დიზაინი/განვითარების ხარჯები	ვადები
CB01	ყველა	მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებულ კომპანიებში საჭირო უნარ-ჩვევებისა და ფუნქციების დანერგვა	გეგმა/სტრატეგია	-	74,160 ლ	-	2020 - 2021
CB02	SW2, ES1, ES3, W3	მუნიციპალური მწვანე შესყიდვების პოლიტიკის და დაკავშირებული პროცესების დანერგვა	პოლიტიკა	-	-	20,000 – 40,000 ლ	2020
CB03	SW2, ES1, ES3, W3	წლიური ჯილდოების და წახალისების სხვა მექანიზმების დაწესება მწვანე ბიზნესის პრაქტიკის ხელშესაწყობად	ქცევითი	-	უმნიშვნელო	უმნიშვნელო	2020 – 2021
CB04	SW2, ES1, ES3, W3	სასტუმროების ინდუსტრიასთან პარტნიორობა გარემოს მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით	გეგმა/სტრატეგია	-	1,350 ლ	-	2020

Error! Unknown document property name.

CB01: შესაბამისი უნარების განვითარება და პასუხისმგებლობების გაწერა ბათუმის მუნიციპალიტეტსა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებულ კომპანიებში		
სტრატეგიული ამოცანა	ყველა	
აღწერა რა გავლენა?	<p>ქალაქი ბათუმი აფასებს ამჟამინდელი პერსონალის შესაძლებლობებს. GCAP-ს განხორციელებას და ზოგადად, მწვანე ქალაქის პრინციპებს შემდეგი უნარ-ჩვევები ესაჭიროება, რომლებიც ამ ეტაპზე არ გვაქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები, რომლებსაც გამოცდილება აქვთ კონტროლის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაში • კლიმატის ცვლილების სპეციალისტები, რომლებიც მიწათსარგებლობის ახალ გეგმასა და კლიმატის რისკების შეფასებების მიხედვით ახალ სახელმძღვანელოს შეიმუშავენ • ლანდშაფტის არქიტექტორები WSUD-ისა და მწვანე სივრცეებთან დაკავშირებული ქმედებების ხელშესაწყობად • ენერგოეფექტური მშენებლობების სპეციალისტები და აუდიტორები • GCAP-ს შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისთვის შესაბამისად კვალიფიცირებული ანალიტიკოსები <p>ხარვეზების აღმოსაფხვრელად შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ტრენინგები, მოკლევადიანი ხელშეკრულების საფუძველზე კონსულტანტებისა და სხვა სპეციალისტების დაქირავება.</p>	
მიზეზი- რატომ?	GCAP- ის შემოთავაზებული ქმედებების კომპლექტი მოითხოვს ქალაქ ბათუმში ახალი უნარების და პოტენციური როლების შექმნას და დამკვიდრებას, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. შემუშავდეს მასალები, რომლებიც გავრცელდება ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებში, რათა დადგინდეს, თუ რა უნარების ნაკლებობას განიცდიან ისინი. 2. იმ უნარ-ჩვევების განსაზღვრა, რომელთა შექმნაც ახალი თანამშრომლების აყვანით ან ტრენინგის საშუალებითაა შესაძლებელი 3. უნარების განვითარებისთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფა. 	
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი
	დაინტერესებული მხარეები	ყველა მუნიციპალური დეპარტამენტი და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კომპანია
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	იხილეთ შემოსავლებისა და დაზოგვის შესაძლებლობები GCAP-ს სხვა ქმედებებში. საჭიროა ქალაქ ბათუმში შესაბამისი უნარ-ჩვევების არსებობა, რათა ეს შესაძლებლობები ხელმისაწვდომი გახდეს.
	ვადები	2020+
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატასტროფების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მზაობა 	
მოსალოდნელი ხარჯი	<p>CAPEX: -</p> <p>OPEX: 74,160, ხუთი სრულ განაკვეთზე მომუშავე ადამიანის დაქირავების შემთხვევაში საჯარო სექტორში მომუშავეთა საშუალო ხელფასის გათვალისწინებით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ შესაძლოა ქალაქ ბათუმს სურდეს ისეთი მექანიზმების შემოღებაც, რაც დამატებითი თანამშრომლების აყვანას არ საჭიროებდეს, თუმცა, მწვანე ქალაქის პრინციპების დასაწინააღმდეგოდ საჭირო ძალისხმევა სათანადოდ უნდა შეფასდეს.</p> <p>დიზაინის / განვითარების ხარჯები: :-</p>	
მოსალოდნელი სარგებელი	შესაძლებლობების გაძლიერების ქმედებები გააუმჯობესებს სხვა ქმედებების ეფექტს ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური სარგებლის კუთხით.	

Error! Unknown document property name.

CB02: მუნიციპალური მწვანე შესყიდვების პოლიტიკის და დაკავშირებული პროცესების დანერგვა		
სტრატეგიული ამოცანა	<p>SW2: ნარჩენების შემცირება ნაგავსაყრელზე და რეციკლირების გაზრდა</p> <p>ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერჯო ეფექტურობის გაუმჯობესება</p> <p>ES3: განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია</p> <p>W3: წყლის გამოყენების ეფექტურობის გაზრდა საყოფაცხოვებო და კომერციული მომხმარებლების მიერ</p>	
აღწერა – რა გაკეთდება?	შესყიდვების არსებული პროცესის შეფასება და გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობების გაზრდის გზების იდენტიფიცირება შესყიდვების გადაწყვეტილებებისას. პროცესის დანერგვა, რომელიც მოითხოვს გარემოსდაცვითი აქტივობების უფრო მაღალ სტანდარტს იმ ორგანიზაციებს რომლებსაც განაცხადის ბათუმი ქალაქი ყიდულობს პროდუქტს და მომსახურებას. საჭიროა შესაძლებლობების გაძლიერება მუნიციპალიტეტში რათა ეს პოლიტიკა დაინერგოს.	
მიზეზი – რატომ?	მწვანე შესყიდვების პოლიტიკის არარსებობა ზღუდავს ქალაქის შესაძლებლობებს დადებითი გავლენა მოახდინოს მიწოდების ჯაჭვის მდგრადობაზე ბათუმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ზოგადად, საქართველოს მასშტაბით.	
განხორციელების ნაბიჯები	<ol style="list-style-type: none"> 1. შესყიდვების სტრატეგიის შესამუშავებლად საჭირო შიდა ექსპერტიზის შეფასება ან გარე ექსპერტიზის შესყიდვა 2. კონკრეტული ამოცანებისა და პოლიტიკის სტანდარტების დასახვა 3. პოლიტიკის განხორციელება 	
ქმედების ტიპი	პოლიტიკა	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი
	დანიტერესებული მხარეები	ყველა მუნიციპალური დეპარტამენტი
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	შესყიდვების პრაქტიკების გადახედვა შესაძლოა დანახარჯები დაზოგოს - მწვანე შესაძლებლობების არჩევა (მაგ. გადამამუშავებელი საბეჭდი ფურცლები), ხშირად რ არის აფრო ძვირი, ვიდრე ჩვეული არჩევანი
	ვადები	2020+
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • წყლის ექსპლუატაციის ინდექსი • წლიური CO2 -ს ექვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე • წლიური CO2 - ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე • ელექტროენერჯის მოხმარება შენობებში • ელექტროენერჯის მოხმარება არასაყოფაცხოვებო კორპუსებში • გათბობის/გაგრილების მოხმარება შენობებში და საყოფაცხოვრებო შენობებში; წიაღისეული ენერჯის მოხმარება • საწარმოების წილი, რომლებსაც აქვთ ISO50001/EMAS ან მსგავსი სერტიფიკატი • მწვანე შენობის სერტიფიკატის მქონე პროექტების ჯამური ღირებულების წილი, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების მთლიან წლიურ ღირებულებაში • განახლებადი ენერჯის წილი საწარმოო ენერჯის მოხმარებაში • გადამამუშავებელი საწარმოო ნარჩენების წილი საწარმოო ნარჩენების ჯამურ რაოდენობაში • საწარმოო ჩამდინარე წყლების პროცენტული მაჩვენებელი, რომელის გადამამუშავება ხდება მოქმედი ეროვნული სტანდარტების შესაბამისად • წყლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე • წყლის მოხმარება მშპ-ს ერთ ერთეულზე 	
მოსალოდნელი ხარჯი	<p>CAPEX: -</p> <p>OPEX: -</p> <p>დიზაინის / განვითარების ხარჯები: : 20,000 – 40,000 ლარი</p>	
მოსალოდნელი სარგებელი	შესაძლებლობების გაძლიერების ქმედებები ხელს შეუწყობს სხვა ქმედებებსაც და შექმნის ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და სოციალურ სარგებელს.	

Error! Unknown document property name.

CB03: ყოველწლიური ჯილდოს ან სხვა წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა ბიზნესის მწვანე პრაქტიკების მასშტაბების გასაზრდელად		
სტრატეგიული ამოცანა/ამოცანები	SW2: ნარჩენების შემცირება ნაგავსაყრელზე და რეციკლირების ზრდა ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერჯო და მატერიალური ეფექტურობის გაუმჯობესება ES3. განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია W3. წყლის გამოყენების ეფექტურობის გაზრდა საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლების მიერ	
აღწერა – რა გაკეთდება?	სავაჭრო პალატასთან თანამშრომლობა, რათა დაწესდეს ყოველწლიური ჯილდო ბათუმის ბიზნესისთვის - გამოყენებული იქნება გლობალური მდგრადი ბიზნესის ჯილდოს კრიტერიუმები. დანახარჯები დამოკიდებულია პრიზებზე/წახალისების ტიპზე. შეიძლება დაფინანსდეს კერძო სექტორში მოღვაწე სპონსორისგან.	
მიზეზი – რატომ?	ამჟამად ბათუმში მხოლოდ მცირე რაოდენობის ბიზნესები ფუნქციონირებენ მდგრადობის პრინციპების შესაბამისად. უმეტესად ეს დაბალი ცნობიერების გამო ხდება. ჯილდოები კარგი მექანიზმია მდგრადობის პრინციპების წასახალისებლად.	
განხორციელების ნაბიჯები	1. ჯილდოების სხვადასხვა კატეგორიების განსაზღვრა 2. მონაწილეობის წამახალისებელი სტიმულების დადგენა 3. ღონისძიების გასაჯაროება და ორგანიზება	
ქმედების ტიპი	ქცევითი	
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება		
განხორციელების გეგმა	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი
	დანიტერესებული მხარეები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა
	დაფინანსების წყაროები	კერძო სექტორის დაფინანსება, მუნიციპალური ბიუჯეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	შემოსავლის გამომუშავება შესაძლებელია სპონსორობისა და ღონისძიებაზე დასწრების საფასურის საშუალებით.
	ვადები	2020+
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესების რაოდენობა, რომლებიც კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას (ახალი) • საქმიანი საწარმოების წილი ISO50001 / EMAS ან მსგავსი სერტიფიკატით • მწვანე მშენებლობად სერთიფიცირებული პროექტის წლიური ჯამური ღირებულების წილი მთლიანად მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროექტების ჯამურ ღირებულებაში 	
მოსალოდნელი ხარჯი	CAPEX: ჯერ არ განსაზღვრულა OPEX: უმნიშვნელო – სპონსორების მიერ იფარება დიზაინის / განვითარების ხარჯები: : უმნიშვნელო – სპონსორების მიერ იფარება	
მოსალოდნელი სარგებელი	შესაძლებლობების გაძლიერების ქმედებები ხელს შეუწყობს სხვა ქმედებებსაც და შექმნის ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და სოციალურ სარგებელს.	

Error! Unknown document property name.

CB04: სასტუმროებთან პარტნიორობა გარემოს მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით											
სტრატეგიული ამოცანა	<p>SW2: ნარჩენების შემცირება ნაგავსაყრელზე და რეციკლირების ზრდა</p> <p>ES1: შენობის და ინფრასტრუქტურის ენერჯო და მატერიალური ეფექტურობის გაუმჯობესება</p> <p>ES3: განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა, როგორცაა ქარის და მზის ენერჯია</p> <p>W3: წყლის გამოყენების ეფექტურობის გაზრდა საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლების მიერ</p>										
აღწერა – რა გაკეთდება?	ქალაქი ბათუმი მიზნად ისახავს დაინტერესებულ სასტუმროებთან თანამშრომლობის დამყარებას; შედეგად შერჩეული სასტუმროები მდგრადობის ინიციატივების შესახებ ინფორმაციას სექტორის სხვა წარმომადგენლებს გაუზიარებენ.										
მიზეზი– რატომ?	სასტუმროების სექტორი ბათუმის რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს მოიხმარს. მრავალი საერთაშორისო სასტუმრო ქსელი უკვე ითვალისწინებს ენერჯოეფექტურობისა და წყლის დაზოგვის პრინციპებს მათი შიდა მდგრადობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ პრაქტიკების გაზიარება ორმხრივად სასარგებლოა, რადგან მონაწილე სასტუმროებს შეუძლიათ CSR კიდევ უფრო წარმოაჩინონ, ხოლო ბათუმის სხვა ბიზნესები მათი გამოცდილებიდან ისწავლიან.										
განხორციელების ნაბიჯები	<p>4. სასტუმროსთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებლის დანიშვნა პროგრამის ლიდერად</p> <p>5. შეხვედრის დანიშვნა ამოცანებისა და მოლოდინების განსახილველად.</p> <p>6. პარტნიორობის განვითარება, დროთა განმავლობაში ამოცანების კორექტირება.</p>										
ქმედების ტიპი	გეგმა/სტრატეგია										
გარემოსდაცვითი ღირებულებები, რომლებზეც გავლენა დადებითი იქნება											
განხორციელების გეგმა	<table border="1"> <tr> <td>აქტივობის შემსრულებელი</td> <td>მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი</td> </tr> <tr> <td>დაინტერესებული მხარეები</td> <td>ბათუმის წამყვანი სასტუმროები</td> </tr> <tr> <td>დაფინანსების წყაროები</td> <td>მუნიციპალური ბიუჯეტი</td> </tr> <tr> <td>შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები</td> <td>-</td> </tr> <tr> <td>ვადები</td> <td>2020+</td> </tr> </table>	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი	დაინტერესებული მხარეები	ბათუმის წამყვანი სასტუმროები	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	-	ვადები	2020+
	აქტივობის შემსრულებელი	მუნიციპალური პოლიტიკის დეპარტამენტი									
	დაინტერესებული მხარეები	ბათუმის წამყვანი სასტუმროები									
	დაფინანსების წყაროები	მუნიციპალური ბიუჯეტი									
	შემოსავლის მიღების/დაზოგვის შესაძლებლობები	-									
ვადები	2020+										
გავლენის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> იმ ბიზნესების რაოდენობა, რომლებთანაც ქალაქი ბათუმი თანამშრომლობს იმ მყარი ნარჩენების წილი, რომელიც დახარისხებული და რეციკლირებულია (ქალაქი, მინა, ელემენტები, PVC ბოთლები, მეტალი და ა.შ.) ჯამურ ოდენობასთან შეგროვებული მყარი ნარჩენის კომპოსტირებული წილი წლიური CO2 -ს ექვივალენტი ემისიები ერთ სულ მოსახლეზე წლიური CO2 -ს ემისიები მშპ-ს ერთ ერთეულზე ელექტროენერჯის მოხმარება არასაყოფაცხოვრებო კორპუსებში გაგრილებისა და გათბობის მოხმარება კორპუსებში, სადაც წიაღისეული საწვავი გამოიყენება საწარმოების წილი ISO50001 / EMAS ან მსგავსი სერტიფიკატით 										
მოსალოდნელი ხარჯი	<p>CAPEX: NA</p> <p>OPEX: 1,350 ლარი</p> <p>დიზაინის / განვითარების ხარჯები: : NA</p>										
მოსალოდნელი სარგებელი	შესაძლებლობების გაძლიერების ქმედებები ხელს შეუწყობს სხვა ქმედებებსაც და შექმნის ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და სოციალურ სარგებელს.										

4 GCAP-ის

განხორციელება და
პროგრესის
აღრიცხვა

**Error! Unknown document
property name.**

აღნიშნული სექცია მოიცავს ქალაქ ბათუმის მიერ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ ელემენტებს, GCAP-ის აქტივობების განხორციელების და მათი პოტენციალის გაგების და მაქსიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

4.1 როლები და პასუხისმგებლობები

მწვანე ქალაქის კოორდინატორი

